645
1981

N 0321-150

იანვარი
№ 1 1981 წ.

# საბჭოთა ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველ მოჭადრაკეთა მართლაც და შესანიშნავი ოთხეული (მარცხნიდან) — ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია და მაია ჩიბურდანიძე. ეს სურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ს. კილაძემ მაშინ გადაიღო, როცა ლა-ვალეტაში გამართული მსოფლიო ოლიმპიადიდან გამარჯვებით დაბრუნებულებს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დედაქალაქის საზოგადოებრიობამ გულითადი შეხვედრა მოუწყო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკეთით გევლოს, ახალო წელო!

ახალი, 1981 წელი მის წინამორბედებზე უფრო მეტი ზარზეიმით შემოვიდა საქართველოში.

1981 — XX საუკუნის ბოლო ოცწლეულის წინამძღოლი!

1981 — ხუთწლედების მეორე ათეულის ფუძემდებელი!

1981 — დიდმნიშვნელოვანი თარიღებითა და მოვლენებით მდიდარი: სკკპ XXVI ყრილობა, საქართველოს კპ XXVI ყრილობა, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი, საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავი!

1981 წლის გადასახედიდან ნათლად ჩანს, რა გმირული შრომითა და ბრძოლით დაგვიძლევია ეს 60 მაღალი საფეხური.

მშვიდობისა და შრომის სუფევის, ადამიანთა და ხალხთა ძმობის, ერთობის, თავისუფლების დროშით მიჰყვებოდა საბჭოთა საქართველო ამ ძნელსავალ საფეხურებს ახალ-ახალი სიმაღლეებისაკენ. და ჩნდებოდა გეოგრაფიულ რუკაზე ახალი ქალაქები და დასახლებები, ზღვები და კაშხლები, რკინიგზები და გზატკეცილები...

ამ ბრძოლისა და შრომის შედეგად იცვალა ფერი სოფელმა და ქალაქმა, ადამიანთა ცხოვრების წესმა, ამაღლდა კულტურა — ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება...

განვლილი ათი ხუთწლედიდან ყოველი მათგანი ერთ დიდ, საერთო მიზანს — ადამიანთა ბედნიერებას, მათს კეთილდღეობას ემსახურებოდა და ამავე დროს ერთმანეთისაგან განსხვავებული, ამა თუ იმ მომენტისათვის დამახასიათებელი და უმნიშვნელოვანესი ამოცანებით იყო დამუხტული.

მეათე ხუთწლედის ბოლო 1980-მა წელმაც საოცარი წარმატებები უპატაკა 1981 წელს, ესტაფეტა გადასცა და შემდგომი მიჯნების ღირსეულად დასალაშქრავად გზა დაულოცა...

საყოველთაოდ ცნობილია ეს წარმატებები ჩაისა და ყურძნის გაუგონარი მოსავლით, გიგანტური აღმშენებლობით, ჭერემსა და უდაბნოში ახლადშობილი სიცოცხლით რომ დაგვირგვინდა.

და, მართალია, ყველა ხუთწლედი საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში, XI ხუთწლედის ამოცანები მაინც განსაკუთრებულია. როგორც სკკპ 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მისი დევიზია — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი — ადამიანის საკეთილდღეოდ“ — და მიზნად ისახავს ბრძოლას ფართო სახალხო მოხმარების საგნების სიუხვისა და ხარისხისათვის, საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების, კვების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლებისათვის.

ადამიანისათვის ზრუნვის საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ნოემბრის პლენუმიც, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ

საქ. სსრ კ. მარქსის

# ახალი წელი

ღრმად გააშუქა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და კერძოდ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული სამომავლო ამოცანები, გააანალიზა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის სადღეისო მდგომარეობა, შეაჯამა X ხუთწლედის შედეგები და დასახა არა მარტო XI ხუთწლედისა, არამედ შემდგომი ხუთწლედების პერსპექტივებიც.

ახალი ხუთწლედის ახალი წელი უკვე დამკვიდრდა თავის სამფლობელოში. მისი ვალია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფით განამტკიცოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ფართო სასურსათო პროგრამა — პროდუქტების სიუხვით!..

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი ამაღლების პროგრამა — აქამდე წარმოებულზე მილიონობით მეტრით მეტი ქსოვილი, მილიონობით მეტი საფეიქრო, საგალანტერიო, საოჯახო საქონელი...

და ერთადერთი საზომი წარმოებული საგნებისა — მათი ხარისხი. „ქართულია? — კარგია!“ აი, პასპორტი, რომლითაც უნდა მიდიოდეს ჩვენი მცირე თუ დიდ წარმოებათა პროდუქცია მაღაზიის თაროებზეც და რესპუბლიკის გარეთაც.

1981 წლის საზრუნავია საბინაო პირობების გაუმჯობესება 27 ათასზე მეტი ოჯახისათვის და სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა.

და საერთოდ ბევრი, ბევრი რამ ევალება XI ხუთწლედსა და კერძოდ მის პირველ წელიწადს.

მაგრამ რა მასშტაბების მშენებლობაზე და სიუხვეზეც არ უნდა ვილაპარაკოთ, ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანია, ის, ვისთვისაც შენდება გიგანტები, იბადება სოფლები და ქალაქები, იქმნება დიადი ტილოები და სიმფონიები...

ადამიანი — შემოქმედი, მისი ბრძოლა და შრომა ისევ ადამიანისათვის, მისი ფიზიკური და სულიერი სრულყოფისა და ბედნიერებისათვის.

აი, უდიდესი საკაცობრიო მიზანი, რომელსაც ისახავდა ყოველი პროგრესული მოძრაობა, მიზანი, რომელმაც საბოლოოდ შესძრა სამყარო და შვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

ამ მიზნისაკენ ლტოლვა ბადებს ხუთწლედებს, სახავს უდიდეს გეგმებს და მოითხოვს თავდადებულ შრომას.

ამ მიზნისაკენ სწრაფვა ვერ ეგუება ვერავითარ სიძახიჯეს და ებრძვის ყველაფერს, რაც გველობება პროგრესის გზაზე, რაც ჩრდილს აყენებს ყველაზე დიდ მიღწევებსაც კი, რაც აკნინებს ადამიანის სახელს.

ამიტომ არის, რომ ამ ახალ წელსაც, საბჭოთა საქართველოს მე-60 წელს და XX საუკუნის ბოლო ოცეულის პირველ წელიწადს, დიდი გეგმების შესრულებისათვის გულმხურვალე შრომისა და ბრძოლის დროს, უნდა გავაათკეცოთ ზრუნვა ყოველი ადამიანის სულიერი სრულყოფისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების სრული გაჯანსაღებისათვის.

და ამ ბრძოლასა და შრომაში, უდავოა, რომ კვლავინდებური და კვლავინდებურზე მეტი გულმხურვალებაც გვმართებს ქალებს, დედებს ჩვენივე ოჯახების განსამტკიცებლად, ჩვენს მიერ ნაშობი სიცოცხლის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის.

დაე, ფეხბედნიერი იყოს ეს ახალი 1981 წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის, თქვენი შვილებისათვის, ძვირფასო ქალებო!

გვიმრავლოს ოჯახი, ხვავი და ბარაქა!

ბედნიერი იყოს ეს წელი ჩვენი მეზობლებისა და მეგობრებისათვის და მსოფლიოს ყველა მშვიდობის მოსურნე, თავისუფლებისა და პროგრესისათვის მებრძოლი ხალხებისათვის.

სიკეთით გვევლოს, ახალო წელო!

XXVI

## რაიონი ყრილობის წინ

### რა მისცა პიროვნებამ საზოგადოებას და საზოგადოებამ — პიროვნებას?!

## არ დაიშალა თავისი

თოვს და თოვს. პირველი ფიფქებით მოიფინა გზა. თბილისში წვიმა დატოვა ნაზომ. მანქანა გომბორის გზას მიჰყვება. გომბორში რომ ავიდა, ყველაფერი თეთრ სამოსელში გახვეული დახვდა. ხეებისა და მიწის სითეთრემ სტუდენტობის წლები გაახსენა. რამდენჯერ უვლია ამ გზაზე და წაულია ხან სამელი, ხან თბილი წინდები და დედის მოქსოვილი თავშალი. ამ გზაზე დაქალდა და ზოოტექნიკოსად დაბრუნდა სოფელში. მაგრამ უკვე გათხოვილი იყო. ქმრის სოფელში, ქვემო ალვანში დასახლდა და წაიღო თავისი მზითევი ზემო ხოდაშნიდან. თუშების რძალი საქმეში ჩაება.

გუშინ კი, მხოლოდ ერთი დღით სტუდენტობას დაუბრუნდა ნაზო პეტრიაშვილი. ეს 50 წლის ქალი. მშობლიურმა ინსტიტუტმა თბილისში მიიწვია.

და უცებ, ანგარიში მოსთხოვეს. იცოდნენ, რომ მათ წინ იდგა ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის სანაშენო ბრიგადის ბრიგადირი, რომელმაც 26 წლის წინათ დაამთავრა ინსტიტუტი. იცოდნენ, რომ იგი დამსახურებული ზოოტექნიკოსია, წინა წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, არის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მიიღო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, 1961 წელს შევიდა პარტიაში, 1960 წელს პირველი ჯილდო, შრომის წითელი დროშის ორდენი გადასცეს, ამას დაემატა შრომის წითელი დროშის მეორე ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, ლენინის ორდენი, არის პარტიის ახმეტის რაიკომის უცვლელი წევრი.

და კიდევ და კიდევ, ბევრი რამ იყო ცნობილი, მაგრამ სიტყვა მაინც მოსთხოვეს სტუდენტებმა და ნაზო პეტრიაშვილმაც ასე დაიწყო:

— ოჯახში მიშლიდნენ, ზოოტექნიკოსობას რომ ვპირებ, საიდან მოგივიდა ეგ აზრი, და-ძმები პედაგოგები გყავს და შენც მათ კვალს გაჰყევიო. დავიჩემე, ზოოტექნიკოსი მინდა გავხდემეთქი და ჩემი გავიტანე. და აი, სად არ ნახავთ, ვის არ მიჰყავს ჩვენი ჯიშიანი სანაშენე ღორები, თეთრი ქათქათა, ესტონური ჯიშისა. გეგმა და ვალდებულება დიდი გვქონდა, მაგრამ 3 წელიწადსა და 4 თვეში შესრულდა ბრიგადამ ხუთწლედი.

... გუშინ, აქ წამოსვლამდე ახმეტის ცენტრში საქართველოს სსრ სახელმწიფო დრო-

შა აღმართეთ, ეს იმიტომ, რომ ჩემმა რაიონმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლედი სოფლის მეურნეობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდა სამი ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, ხუთას ტონამდე ბოსტნეული, 10 ათას ტონამდე ყურძენი, 440 ტონა ხორცი, 176 ტონა მატყლი.

ასე ყვებოდა ნაზო ახმეტაზე და ახმეტელებზე, თანამოსაქმეებზე და თუშების გარჯილობაზე და ხედავდნენ, რომ ეს ქალი ძველი თუშეთის მიწაზე ამოსული დიდი ფესვმაგარი ხის ერთი ღონიერი ტოტი იყო, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მოაღონიერებდა სხვებსაც და სიკეთეს ერთიათად გადაუხდიდა ქვეყანას, რომელმაც გაზარდა.

გომბორის გზაზე ახლა უფრო მსხვილად ბარდნიდა და როცა ნაზო ახმეტაში შევიდა, არც თოვდა და არც წვიმდა, ცა ერთგან მოწმენდილიყო და ქარი ღრუბლებს ერეკებოდა. ქვემო ალვანში უამრავი საქმე ელოდა.

გადაიცვა თეთრი ხალათი, და ჩადგა ბრიგადირი... თავის ფორმაში. აღარც სიტყვები და მოლოცვები, აღარც სიმღერა და ცეკვა საბანკეტო დარბაზში.

სანაშენე-საჯიშე ბრიგადის ხელმძღვანელობა თავდაუზოგავ შრომას ითხოვს. სანაშენო მოზარდებს ელიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონები. მხოლოდ უმაღლესი ხარისხისანი — ელიტები გამოდგებიან საჯიშედ, პირველი კლასისანიც კარგები არიან, ხოლო მეორე კლასის პირუტყვი გასასუქებლად იგზავნება — მათ 110 კილოგრამამდე ზრდიან და შემდეგ ჰყიდიან.

ჯიშთა შერჩევა, დახვეწა, დედისა და მამის ნუსხების გადასინჯვა, პროდუქტიულობის, მერძეულობის და სხვადასხვა ნიშნების დაზუსტება, ძალიან დიდი დაკვირვებით და გულისყურით ხდება.

საუკეთესოდ მოვლილი 2 200 ღორი ჰყავთ მეურნეობაში. კარგად შეეგუა ესტონეთის ჯიში ადგილობრივ პირობებს. მას მტკიცე აღნაგობა აქვს, საუკეთესო ხორცის წარმოების საშუალებას იძლევა, სწრაფად იზრდება, ზომიერად სუქდება, საკვებს კარგად ითვისებს. ალვანელი ბრიგადირი ნაზო პეტრიაშვილი მუშაობის გამოცდილების გასაცნობად სტავროპოლში რომ ჩავიდა, ავტომატიზაციამ მოხიბლა. ერთი მომვლელი 600-800 სულ ღორს უვლიდა. შემდეგ გიორგიევსკელები ესტუმრნენ ქართველებს და ნახეს, რომ აქ მექანიზაცია სრულყოფილი არ იყო, მაგრამ მასპინძლებს გოჭებიც მეტი ჰყავდათ, სადღეღამისო წონა-მატებაც მეტი იყო და საკვების დანაზოგითაც სჯობნიდნენ.

ეს საიდუმლო მათთვის ერთხანს ამოსახსნელი დარჩა, მერე კი დარწმუნდნენ, რომ თავიდათავი ისევ კარგი მოვლა-პატრონობაა. მაშ როგორ მიიღო ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენები მომვლელმა ანა მოზაიძემ, რომელიც აქ 20 წელია ფეხმოუცვლელად მუშაობს! როგორ დაიმსახურა „საპატიო ნიშნის“ ორდენი და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედალი ზინა ჯაბოდანიძემ, თუკი ფერმას არ უერთგულა!



ნაზო პეტრიაშვილი

სამაგიეროდ, წახალისება დიდი აქვთ აქაურებს. კარგ ხელფასს პრემია და საკვების ეკონომიისათვის გაცემული დანამატიც ახლავს თან. წელიწადში მომვლელები 5-6 ათასი მანეთით ზრდიან ოჯახის ბიუჯეტს. განა ეს ცოტაა?!

ამ დაფასებას ახალი ენერგიით უპასუხებენ. ყრილობის გახსნის წინ ნაზო პეტრიაშვილის ბრიგადის წევრები მე-11 ხუთწლედის ორი წლის გეგმას შეასრულებენ. აი, როგორი საჩუქარი მზადდება საყრილობოდ!

და ასეთ დიდ შრომითს აღმავლობას რომ ხედავს, ზოგჯერ არც კი სჯერა ბრიგადირს, როგორ შეივსო თავისი შრომითი ბიოგრაფიის პირველი გვერდები.

1954 წელს ზემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში რომ მოვიდა, 5 ათასამდე ფრთა ფრინველი და 290 სულამდე ღორი ებარა. ეს იყო და ეს 1961 წლამდე!

შემდეგ მეურნეობა ჩამოყალიბდა და ესტონური ჯიშიც მაშინ შემოიტანეს. სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ საქმე.

ოჯახში ბავშვები იზრდებოდნენ. დედის ზრუნვა მათ უფრო მეტად სჭირდებოდათ. მეუღლე მეცხვარეობით იყო გატაცებული. ზაფხულობით, როცა ომალოს საძოვრებს თუშების ცხვარი მოეფინებოდა, ნაზოს შვილები სოფელ კოკლათაში, გომეწრის ამ ულამაზეს ხეობაში გადადიოდნენ და ფიჭვნარში, ალაზნის პირას კაუდებოდნენ, რა სიმდიდრე ექნება ყოველი ახმეტელის ოჯახს, ომალომდე და შემდეგ სხვა სოფლებამდეც რომ ლარივით გაიჭიმება საავტომობილო ახალი გზა. მაშინ ცხენები აღარ დაფრთხებიან თავდაღმართში, მაშინ რაღა უნდა დამსვენებლების ზემოთ ასვლას. რაიონის ცხვარსაქონელი ალპური ბალახით გაიზრდება და გამრავლდება, ახალი საძოვრების ათვისებასთან ერთად, გამოკეტილი, მიტოვებული სახლების კარ-ფანჯრებიც გაიღება, მრავალმოსახლეობას იზეიმებენ ომალო და მისი სოფლები. ამ დღის მოახლოებას ყოველთვის გრძნობს ნაზო და მუდამ საოცნებო კოკლათა, დიკლო, შენაქო უდგას თვალწინ.

13 მომვლელს მის ბრიგადაში ერთი წევრი კიდევ შემატებია, საპატიო წევრი. მათე ბზაძე. იგი, — ალვანელი ბიჭი, 23 წლისა დაიღუპა ომში და კედლიდან მხოლოდ მისი სურათი გვიმზერს! დილით სამუშაოზე, რომ ცხადდებიან, ერთმანეთს ესალმებიან, სიცილკისკისით მოიკითხავენ, მერე მათესთან ჩერდებიან, თავს უკრავენ მდაბლად და არ დავიწყებას უთვლიან. საღამოსაც, ასევე ღამე მშვიდობისას ეუბნებიან და მთელი დღის ანგარიშს ჩუმად, უსიტყვოდ აბარებენ.

ცივა ახმეტაში. ახალი წელი დადგა. ფერმის პროპაგანდისტი ნაზო პეტრიაშვილი ფურცლავს დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, „საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს“, და ვინ იცის, მერამდენედ უკვირდება, წითელი ფანქრით ინიშნავს, რაც დასახსომებელია, რაც ახალ ხუთწლედში ყველა საბჭოთა მოქალაქის სამოქმედო პროგრამა იქნება. თვითონ კი ზეპირად ამბობს: „ინტენსიურად განვავითაროთ მეღორეობა, გავაფართოოთ სამრეწველო ტიპის მეღორეობის საწარმოთა სიმძლავრე“.



ციალა ზედგინიძე



რუსუდან ხარატიშვილი

# საქმენი საგმირონი

ამ მეურნეობის ყურძნის მასალისაგან მზადდება ღვინო „ახმეტური". აქაური მიწისა და მზის სურნელია შიგ, გლეხკაცის გარჯა და რუდუნებაა, კოლმეურნე ქალის ხელის თრთოლვაა, ასე რომ იგრძნობა ყოველი ყლუპისას. რა თქმა უნდა, ეს მაშინ, თუ ძალიან დაუკვირდები, ანდა ნახული გყავს ზემო ხოდაშნელები და იცი, როგორ უვლიან 592 ჰექტარ მსხმოიარე ვენახში თითო მტევნის თითო მარცვალს.

ქალის დიასახლისობა თუ გინდა გაიგო, შინ უნდა ეწვიო. ყველა სახლი ორსართულიანია, მაგარი, ქვით ნაგები, პატარა ციხე დარბაზია პატრონისათვის. შიგ როგორ ფუსფუსებენ და აწყობენ ბინებს, ეს პირადული ქალის საქმეა, მაგრამ ყველგან მაინც ერთნაირ ელფერს მისცემს მორთულობას ლამაზი თუშური ფარდაგები, ზოგი წინაპრებისაგან გამოყოლილი, ზოგიც ახლახანს მოქსოვილი. საკარმიდამო ნაკვეთსაც რომ ქალის ხელი ეტყობა, ეს უეჭველია. აქაურ ქალებს ისეთი ბოსტნეული მოჰყავთ, მთელი წელი რომ გეგემრიელება. აქაური კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ლობიო სავსებით ჰყოფნის ოჯახს მეორე მოსვლამდე. კვირაში ერთხელ პურს აცხობენ, სანაქებო შოთებს, და ეს ოჯახური საქმიანობის იდილია ვენახით გვირგვინდება. საკარმიდამო ვენახი თავის მოსაწონებელი და გამორჩეულია. ისე აქვთ მოვლილი, მარცვალი რომ დაგივარდეს ძირს, აიღებ და სულს არ შეუბერავ. საკარმიდამო ვენახის ყურძენი ხომ სახელმწიფო მარანში მიდის და რაც უკეთ მოუვლიან, მეტს მიიტანენ თავის გასახარებლად. ახლა ფულს რამდენს იღებენ! ტონობით აბარებენ შინმოწეულ ყურძენს ხოდაშნელები.

ერთია: აქაურ ქალებს თუ შეეკითხებით, რომელ ვენახს უკეთ უვლითო, საკუთარს თუ მეურნეობისასო, გაკვირვებით შემოგხედავენ:

— როგორ, რა განსხვავებაა, ორივე ჩვენიაო, და მერე დაუმატებენ, მეურნეობის მიწებზე უფრო მეტს ვმუშაობთ, იქ ვათენვაღამებთ, შინ კი მოცლილობისას ვტრიალებთო.

და მართალიც არის!



თამარ ფიცხელაური



აბა ნახეთ თამრიკო ფიცხელაურის ნამუშევარი. ზეიმი იდგა მის ნაკვეთში, ზეიმი იყო ქალის გულშიც. 20 ტონა ყურძენი მოიყვანა ჰექტარზე; ხომ დაუჯერებელია? ისიც, მაშინ, როცა გეგმა 9 ტონა იყო! როგორ უნდა ვაქოთ ეს ჩვენი თამარი, ქება უძლურია მის საქმე-საგმიროსთან! თამრიკოს ბრიგადის წევრებმა კი მთლიანად 100 ტონა ზეგეგმითი ყურძენი მოკრიფეს. ქალები ვართო, მათ უნდა თქვან! თამრიკო ორსართულიან სახლს იშენებს, კედლები ამოჰყავს, მალე რვა ოთახს გააწყობს. ესეც მისი შრომით და შემოსავლით!

ციალა ზედგინიძემ 1 ტონა ყურძენი საკარმიდამოდან ჩააბარა სოფელს. მეურნეობაში კი გეგმა-ვალდებულებას გადააჭარბა. ციალა პარტიის წევრია, იცის, რა სჭირდება ქვეყანას და თავს არ იზოგავს შრომით.

ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ექვს სოფელს აერთიანებს: ზემო ხოდაშენს, აწყურს, ახალდაბას, ჩარექაულს, ჩაბინაანს, ხორხელს.

რუსუდან ხარატიშვილი და ნინო მამუჩერაშვილი აწყურელები არიან.

27 წელია რუსუდანი ვენახშია და ის დღეებიც ახსოვს, ზურგით რომ დაჰქონდა ვაზის შესაწამლი აპარატი, სალამოობით წელში რომ ვერ იმართებოდა. მაშინ კოლმეურნეობა სულ 18-20 ტონა ყურძენს იღებდა. ახლა კი ეს მოსავალი ერთ ჰექტარზე მოჰყავთ.

56 წლისაა რუსუდანი, პენსიას 92 მანეთს იღებს თვეში. მეურნეობაში მაინც ერთ-ერთი მოწინავეა, ჯერ ახალგაზრდად მოაქვს თავი და ოჯახში 254 კაცდღეზე აღებული ფული, პრემიები, ჯილდოები შედის და შედის მისი მუყაითობით.

სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული მევენახეებს. ყოველ ხუთ დღეში ჯამდება შედეგები და ვინც გაიმარჯვებს, 25 მანეთს იღებს დამატებით.

ნინო მამუჩეაშვილის ბრიგადას 83 ჰექტარი აბარია და აქედან გეგმის გადამეტებით ტონობით მოკრიფეს ყურძენი. შემოსავალი რომ დიდი აქვთ მევენახეებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნინოს ახალი სახლი ჰქონდა, მაგრამ ახლა მეორეს იშენებს.

ქალები შრომობენ და სასწაულებს ახდენენ. მათს შრომას კი მექანიზაცია ამსუბუქებს.

რიგთაშორის ხვნა, ქიმიური თოხნა, შეწამვლა, ვაზის ანასხლავის გამოტანა — ესენი მანქანამ იკისრა, მერე ფურჩქნა, ახვევა, ახალი ვენახების გაშენება კი ხელით სრულდება.

ყურძენს რომ დაბინავებენ, განა ვენახში აღარ არის საქმე? ერთ, ორ და სამწლიან ვენახებს შემოდგომაზე ძირებს უთოხნიან, შპალებს აწყობენ, ახალ ფართობებზე აშენებენ ვაზს. რაიონის 24-ე პარტიული კონფერენციისთვის 100 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენეს. თუ სიმეჩხრე მეურნეობაში ადრე 28 პროცენტი იყო, 11 პროცენტამდე შეამცირეს. საამისოდ ვაზის გახეივნება, გადაწვენა, გამორგვა გამოიყენეს. მილიონ 500 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედი ზემო ხოდაშნელებმა.

ხუთწლიანი გეგმით 16.219 ტონა ყურძენი უნდა მიეღოთ და 17.026 ტონა მიიღეს.

ხოდაშენში ამაყობენ თავიანთი ხეხილის ბაღებით, ბოსტნებით, მესაქონლეობის ფერმით. კარგი ორგანიზატორის სახელი აქვს პარტიული კომიტეტის მდივანს მარგო პეტრიაშვილს. პარტიული ხელმძღვანელობა იგრძნობა ყველა საქმის გადაწყვეტაში.

სიკეთეც ბევრი მიიღეს თავიანთი შრომის ფასად — ახალი სკოლები — მუსიკალური სასწავლებელი, კლუბები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფო, ატს-ი, ხიდები, კეთილმოწყობილი გზები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, საბავშვო ბაღები და ბაგები, წყალსადენის ახალი პროექტი და კიდევ ბევრი რამ მოესწრო ამ ხუთწლედში.

უფრო მეტი მეთერთმეტე ხუთწლედში გაკეთდება.

ლია კაკაბაძე



ძანო ბაღაკაშვილი

# ნდობა

თეთრი, გამჭვირვალე ნისლი გასდევდა ხორეჭასა და ტბათანას, ქორთაბუდისა და ჩხართანის ტყიან გორებს. ზამთრის საღამო იდგა. ძანო მარტოდმარტო მიჰყვებოდა შინისაკენ მიმავალ გზას.

ნიავს წყლის ტალღების ჩქაფანის ხმა მოჰქონდა. ბორბალოს მთებში სამი მდინარე იბადებოდა — პირიქითა, თუშეთისა და პირაქეთა ალაზანი. სამივე სხვადასხვა მხარეს მიედინებოდა. ქისტისა და ფშავლისთვის პირაქეთა ალაზნის დარი მდინარე არც არსებობდა, რადგან სწორედ მის ხეობას ერქვა პანკისი. და ეს ლამაზი პანკისი რომ არა, ალბათ გროზნოელი ჩეჩენი დუი არც აირჩევდა სამოსახლოდ ამ ადგილს. და არ იქნებოდა სოფელი დუისი, არც ჯოყოლა დაიდებდა ბინას მთების გულში და არ იქნებოდა ჯოყოლო, არც ბირკიანი, ძიბახევი, ომალო...

მდინარისა და მშობლიური სოფლების სიყვარული ერთიათად ამაღლებდა ძანოს თვალში ამ ხეობის ხალხს.

უცებ, რამდენიმე მეტრის მოშორებით, ორღობეში ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა ქისტი გამოჩნდა. მან ბაღაკაანთ უბნისკენ აუხვია. ქალს გაუხარდა — ახლა მარტო არ იყო ამ გრძელ შარაზე. გზის პირზე გადებულ ჯორკოზე მოხუცები ჩამომსხდარიყვნენ. ჭაბუკი მათ რომ გაუპირისპირდა, ცხენიდან ჩამოხტა, ქუდი მოიხადა და ქისტური წესით მიესალმა დროულ ხალხს. მათაც ერთხმად უპასუხეს. რამდენიმე მეტრი ასე იარა ჭაბუკმა, მერე კვლავ ცხენს მოახტა და სწრაფად გააჭენა. ძანოს ეამა. ამ ძველებურ წესში, რომელიც უფროსებისადმი კრძალვას ღაღადებდა, იყო რაღაც ამაღლებული. მას დაცვა და განმტკიცება სჭირდებოდა. მოხუცებს ძანოც მიესალმა. პასუხად ერთმა სალმის მსგავსი რაღაც ჩაიბურდღუნა, სხვებმა კი მრისხანედ ახედეს ქალს. ძანოს უსიამო ჟრუანტელმა დაუარა. „ნეტავი რა მოხდა?“, „რატომ მემდურიან?“, ამ ფიქრებით შევიდა ეზოში, მაშინვე მეორე სართულს მიაშურა, იქ ბავშვები ეგულებოდა. ქვევით, პალატში, დედამთილს ვიღაცა ებაასებოდა. მერე ხმამაღალი, მუქარანარევი სიტყვებიც მისწვდა მის სმენას:

„შენმა რძალმა, კრებაზე, მრავალცოლიანობა უნდა აღვკვეთოთო, რომ ბრძანა, განა არ იცის, ეს ჩვენი სარწმუნოებით ნებადართული რომ არის? ჩვენი რჯულის წინააღმდეგ, მამაპაპური წესის წინააღმდეგ რატომ გამოდის, რა რჯის ნეტავი? ჰაი, ალაჰ, ჰაი ალაჰ!.. ჯერ იყო და მისმა მამამ მუსამ კოლმეურნეობა ჩამოაყალიბა, ხარ-კამეჩი და გუთნეული არ შეგვარჩინა, კოლექტივი უნდა გავაძლიეროთო, ამან კი ძველი ადათ-წესები უნდა უკუვაგდოთო. ასე არ გამოვა, არა!“...

ძანო სკამზე მოწყვეტით დაეშვა, ახლაღა მიხვდა მოხუცების მრისხანების მიზეზს.

მარტო ახლა კი არა, აგერ, რამდენიმე წელია, ყოველ პარტიულ კრებაზე უკანონო ქორწინებისა და ოჯახების უმიზეზოდ დანგრევის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჭაბუკები და ქალიშვილები საშუალო სკოლას რომ დაამთავრებენ და უმაღლეს სასწავლებელში მოიწადინებენ სწავლის გაგრძელებას, მაშინღა იჩენს თავს მშობლების დანაშაული. დედის გვარზე მყოფნი განცხადებას განცხადებაზე წერენ — მამის გვარზე გადადიან.

რატომ უნდა იყოს ასე?.. რა დროს სისხლის აღებაა, რა დროს მეჩეთში ლოცვაა, ქორწინება რატომ არ უნდა იყოს რეგისტრირებული? დროა აღიკვეთოს დახავსებული წეს-ჩვეულებები. ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე ბევრჯერ დაბეჭდილა წერილი ამის შესახებ. ქისტი კომუნისტები — მუხმად ალდამოვი, ლამარა ბორჩაშვილი, ელიზბარ დუიშვილი, სალმან მარგოშვილი და სხვები თავგამოდებით ებრძვიან ამ დრომოჭმულ წესს, მაგრამ ვაი, რომ დავით მაჩალიკაშვილს დღესაც სამი ცოლი ჰყავს, ვისერგი ქავთარაშვილს კი — ორი. არა, ახალგაზრდობამ არ უნდა მიბაძოს მათ, არა და არა.

ძანო ფანჯარასთან მივიდა. ეზო ღამის უკუნეთ სიბნელეში ჩაძირულიყო, ნეტავი, მუხმადი მაინც იყოს შინ! დილაუთენია სანადიროდ წასული მეუღლე ჯერაც არ დაბრუნებულიყო. პედაგოგი მუხმად მარგოშვილი ძველ წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მუდამ მხარში ედგა მეუღლეს.

შუაღამე გადასულიყო, ჭიშკარმა რომ გაიჭრიალა. ქალმა სინათლე აანთო. უზარმაზარი სილუეტი გამოეყო სიბნელეს. ძანო შეკრთა. მერე მიწაზე რაღაცამ ზღართანი მოადინა. ახლაღა ჩადგა გული საგულეში — მუხმადს დათვი მოეკლა.

მეორე დღეს სახელდახელოდ შეკრიბა ძანომ კომუნისტები და თავისი ჩანაფიქრი გაანდო.

მთელს პანკისს მოედო ახალი ამბავი: „დუისში ქორწინების სახლი გახსნილაო“.

...ყვავილებით მორთულ ოთახში დილიდანვე საზეიმოდ ჟღერდა მუსიკა. ელოდნენ მეჯორწილეებს. და აი, ოთახის ზღურბლზე მოხუცმა ცოლ-ქმარმა გადმოაბიჯა: სონია და რამაზ ქავთარაშვილებმა ხელი მოაწერეს. ისინი მათმა ვაჟმა და რძალმა შეცვალა.

და თუ მანამდე ოჯახის დანგრევისათვის მხოლოდ სამი სიტყვა იყო საკმარისი: „არ მომწონხარ, დამითხოვიხარო“, უკვე რამდენიმე წელია, იშვიათად შეხვდებით განქორწინებულთ. ახალგაზრდა წყვილებს ჯერ ქორწინების სახლში ულოცავენ ცხოვრების გზას, მერე კი გაშლილ სუფრასთან გრძელდება ახალი კერის, ახალი ფუძის სადიდებელი.

გამოხდა ხანი, ხანშიშესულებმა ნდობით შეხედეს ძანოს, ახლა მისი სიტყვები სარწმუნო, დასაჯერებელი ეჩვენებოდათ.

მალე ქორწინების სახლის ფუძემდებელი ძანო ბაღაკაშვილი პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად დააწინაურეს.

პირველ კომუნისტ ქისტ ქალს მთელი სოფელი ამოუდგა მხარში. ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

მარტო 1976 წელს პანკისში ცამეტჯერ მოვიდა სეტყვა. ზამთარში ვაზი მოიყინა. პანკისელებმა ზარალით დაამთავრეს სამეურნეო წელი. დღეები, თვეები დაძაბულ შრომაში გადიოდა. გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო.

მდუმარედ იდგნენ თეთრად გადალესილი მთები; პანკისის ხეობას ეს სითეთრე მყუდროებას მატებდა.

მეურნეობის დირექტორმა იოსებ ძოძიშვილმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა

ძანო ბალაკაშვილმა აქტიური კომუნისტები შემოიკრიბეს. ვენახი უნდა განახლებულიყო, მოყინული ვაზი ძირში უნდა გადაეჭრათ, რომ სიცოცხლეს ხელახლა ეზეიმა.

და აი, პანკისის ხეობასაც ეწვია გაზაფხული.

მკაცრი კონტროლი დაწესდა ყოველ უბანზე. მიწა აფუვდა, გასათოხნი დროზე გაითოხნა, დასაბარი — დაიბარა; ვაზი შეიწამლა, გაისხლა, კვირტები დაებერა. შრომის შედეგი თანდათან საჩინო გახდა.

პარტიულმა კომიტეტმა შრომაში დაწინაურებისათვის ჯილდოები დააწესა. ყანებსა და ზვრებში ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ ქისტები, ფშაველები, ოსები.

1979 სამეურნეო წელი ახმეტის რაიონის პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 600.000 მანეთის მოგებით დაამთავრა. პანკისელებმა მოგებით დაამთავრეს შარშანდელი წელიც. გადაჭარბებით შესრულდა მეათე ხუთწლედის გეგმა.

„კარგი ფეხით მოვიდა ძანო მეურნეობაშიო“, — ამბობენ ქისტები. მათს გვერდით არის ქალი ჭირსა თუ ლხინში.

— ძანო დეიდა, რად გინდათ ამ შუაგულ სიცხეში თავსაფარი, როგორ, თქვენც იცავთ მამაპაპურ წესს? — ჰკითხა ერთხელ კომკავშირელმა გოგონამ ძანოს. ქალს გაეღიმა და პასუხად უთხრა:

— იმ წესს, რომელსაც ზიანი არავისთვის მოაქვს, კიდევაც უნდა მისდიო, თუ გინდა, რომ მავნე ჩვეულების წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი, თუ გინდა, რომ გენდობოდნენ.

ეს ნდობა რომ არა, ალბათ კვლავაც გაჭიანურდებოდა ახმეტის რაიონში, პირაქეთა ალაზანზე ხიდის აშენება, ვადაზე ადრე არ აიგებოდა სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები.

მეურნეობაში 17 სოფელია გაერთიანებული. მათი კეთილმოწყობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ასამაღლებლად აშენდება სავაჭრო ცენტრი, კულტურის სახლი, ბაგა-ბაღი, რესტორანი.

სამი შვილის დედაა ძანო. ვაჟები — ელიზბარი და ომარი სტუდენტები არიან, უმცროსმა ქალიშვილმა ბელამ კი საშუალო სკოლა დაამთავრა და ახლა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობს. სანამ ეს ოცნება სინამდვილედ იქცეოდეს, მეურნეობაში თანასოფლელთა გვერდით შრომითს ნათლობას იღებს.

ოჯახში კი კვლავ ირწევა აკვანი. ელიზბარის ვაჟი, პატარა ბექარი ნათელ ღიმილს წვაგებებს ოთახში შემოსულ, ჯერ ისევ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ბებიას.

ირწევა აკვანი. ძანოს თეთრყირმიზა რძალი ნათელა ქისტურ და ქართულ სიმღერებს უმღერის პირმშოს.

თეთრ, გამჭვირვალე ნისლში გახვეულა ხორეჯისა და ტბათანის, ქორთაბუდისა და ჩხართანის ტყიანი გორები.

ზამთარია პანკისის ხეობაში.



ლამარა ესართია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზისა და მიწის სურნელი

## რეპორტაჟი ქართული კონიაკის საწარმოდან

ქართული კონიაკის კომბინატს ჯერ კიდევ რევოლუციამდე, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. მისი მესვეური დავით სარაჯიშვილი საქართველოსა და, საერთოდ, მთელი რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების ფუძემდებელი და პიონერი იყო. სარაჯიშვილის ქარხანა თბილისში 224 ათას დეკალიტრ კონიაკს აწარმოებდა წლიურად. დავით სარაჯიშვილის მიერ დაყენებულმა ქართულმა კონიაკმა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის იმპერიის დროს დაიმსახურა ჯილდოები.

კონიაკის მეორე მოამაგე დავით სარაჯიშვილის მიმდევარი და მისი საქმის უბადლო გამგრძელებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქიმიკოსი ვახტანგ ციციშვილი იყო. მან ჩვენი ქვეყნის გარეთ გაიტანა ქართული მზისა და მიწის ეშხით შეზავებული კონიაკის სურნელი და არომატი, ქართული კონიაკის სახელი. მის მიერ შექმნილი კონიაკები: „ენისელი“, რომელიც საბჭოთა საქართველოს 25-ე წლისთავისთვის დაამზადეს და „თბილისი“, რომელიც ჩვენი დედაქალაქის 1500 წლის თავზე გამოვიდა, დღესაც სასიქადულოა.

აქ საცნაურად იგრძნობა წარსული, იგრძნობა ამ საწარმოს პირველ მოამაგეთა ხსოვნისადმი დიდი პატივისცემა, მათი ნაღვაწის უშურველი დაფასება, მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას მაინც კომბინატის დღევანდელობა, მისი აწმყო, მისი შრომისა და ცხოვრების თანამედროვე რიტმი იპყრობს. თბილისის კონიაკის კომბინატის სახელოვანი კოლექტივის ნაწარმს დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ, როგორც უკეთესთა შორის საუკეთესოს. 12 სახეობის ქართული კონიაკიდან 12-ვე სამაგალითოა და ხარისხისნიშნიანი. ქართული კონიაკი თავისი საგემოვნო თვისებებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს ხიბლავს. პირველად მსოფლიო ბაზარი ქართულმა კონიაკმა 1955 წელს იხილა. ამ დროიდან დაიწყო მისი საერთაშორისო აღიარება. ლაიპციგის, პარიზის, იზმირის, მონრეალის საერთაშორისო გამოფენების უცვლელმა ექსპონატმა, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა და დეგუსტაციებზე მონაწილეობით 44 ოქროსი და 11 ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ეს დიდი წარმატება კომბინატის კოლექტივმა თავდადებული, მუყაითი შრომით მოიპოვა. 1966 წლიდან კომბინატის კოლექტივი რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. ის დაჯილდოებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ გარდამავალი წითელი დროშით. კომბინატის კოლექტივი 1973 წლიდან დღემდე შვიდჯერ ზედიზედ დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამ კოლექტივმა მეათე ხუთწლედის გეგმა ერთი წლით ადრე შეასრულა და ახლა მე-11 ხუთწლედის შრომით ვახტზე დგას. წლის ბოლომდე კომბინატი სამშობლოს 60 მილიონი მანეთის ზეგეგმურ პროდუქციას მისცემს, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობას კი 150 ათასი მანეთის ზეგეგმურ პროდუქციას მიუძღვნის.

— გვჯერა, ამ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს ჩვენი სახელოვანი კოლექტივი, — გვითხრა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯემალ ჯანელიძემ.

დიახ, ამ კოლექტივისათვის, მიზნის მისაღწევად, თითქოს დაბრკოლება არც არსებობს. ამაში ვრწმუნდებით, როცა კომბინატის მიერ მოპოვებულ წარმატებებს ვიხსენებთ. თბილისის კონიაკის კომბინატს ერთ-ერთს პირველს მიენიჭა კომუნისტური საწარმოს წოდება, ერთ-ერთმა პირველთაგანმა დანერგა კომპლექსური მართვის სისტემა, რამაც შრომის დისციპლინის ამაღლებასა და კადრების მორალურად აღზრდას შეუწყო ხელი. აქ წლიურად მილიონ 800 ათასი დეკალიტრი კონიაკი მზადდება.

კონიაკის წარმოება კომბინატის საწარმოებიდან — ვარკეთილისა და ოკამის ღვინის



გულიკო ცხენოსანიძე



მერი მიშველაძე



ნათელა ყუბანეიშვილი



ევგენია გოგიაშვილი



ვენერა არაბული

დ. იაკობაშვილის ფოტო

ქარხნებიდან იწყება. აქ გამოხდილ ღვინის სპირტს კომბინატის მესამე საწარმოში, თბილისის კონიაკის ქარხანაში გზავნიან. სპირტის დაძველების საამქროს მუშები კომუნისტური შრომის დამკვრელი, რაიონული საბჭოს დეპუტატი ნათელა ყუბანეიშვილი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი ცაცა მაგრაქველიძე და მათი ბრიგადის წევრები სპირტს მთებისოდენა მუხის კასრებში აბინავებენ. თითოეულ კასრს მკერდზე ავტობიოგრაფიულ პასპორტს აბნევენ.

კასრებში სპირტი, ერთი შეხედვით, უძრავად არის გატრუნული, მაგრამ დიდ ბუნებრივ-ტექნოლოგიურ პროცესს განიცდის. მუხის გოლიათები სპირტს თანდათანობით თავის ყაიდაზე მოაქცევენ: შეაფერადებენ, გემოსა და სურნელს დაანათლავენ და საკონიაკე მასალად აქცევენ.

ამ საამქროში სამიდან ოცდახუთ წლამდე დაყოვნებულ სპირტს საკუპაჟო საამქროში გზავნიან, სადაც უზარმაზარ ჩანებში აგუბებენ, შაქრის ვაჟინს, გამოხდილ წყალს ურევენ და კონიაკის კუპაჟს ამზადებენ.

3-დან 5 წლამდე ხანდაზმული სპირტი ორდინალური ვარსკვლავიანი კონიაკისთვის გამოიყენება, ხოლო 5-დან 25 წლამდე დაძველებული სპირტი, სამარკო კონიაკისათვის არის განკუთვნილი. კუპაჟი ერთი წლის განმავლობაში კვლავ მუხის ბუტებში თვლემს და შემდეგ საბოლოოდ ზავდება.

— კონიაკის დაყენების ეს კლასიკური წესი ოდნავადაც რომ ვინმემ დაარღვიოს, კონიაკი თავის თვისებებს დაკარგავს, გემოვნება და მიმზიდველობა მოაკლდება, გაუბრალოვდება, — ამბობს ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილე ოთარ ლორთქიფანიძე.

კონიაკი ჩამოსხმამდე საგულდაგულოდ იფილტრება, სუფთავდება და შემდეგ ჩამომსხმელი საამქროსაკენ მიჩუხჩუხებს. მექანიკური ჩამომსხმელი ხაზის გასწვრივ ჩამომსხმელი ბრიგადა ჩამწკრივებულა. მართალია აქ ყველა ძირითადი სამუშაო პროცესი მექანიკურად სრულდება, მაგრამ საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობის დელეგატის ვენერა არაბულის, შრომის წითელი დროშის ორდენოსნის ევგენია გოგიაშვილისა თუ სხვათა გაწაფული ხელი და ფხიზელი თვალი მანქანას მაინც სჭირდება, რომ პროდუქციას ხინჯი არ შეჰყვეს, ყველა ბოთლს საცობი სათანადოდ მოერგოს, ალუმინის ჩაჩიც ლონივრად ეხუროს ქუდად და ფაქიზად მიკრული იარლიყიც ამშვენებდეს.

გამოშვებული პროდუქციის 30 პროცენტი საექსპორტო ბრიგადაში ამოჰყოფს ხოლმე თავს. ამას წინათ ამ ბრიგადას სასიხარულო ამბავი ამცნეს: მის ბრიგადირს, საქალაქო საბჭოს დეპუტატს, შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენის მფლობელს გულიკო ცხენოსანიძეს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოსაგან საპატიო სიგელი გადაეცა, როგორც მთელს კავშირში კვების მრეწველობის მუშათა კადრების დიდად დამსახურებულ აღმზრდელს. სახელოვანი ბრიგადირი და მისი ბრიგადა კონიაკის ბოთლებს პოლიეთილენის საყელოებს უკეთებენ, საექსპორტო იარლიყებს აწებებენ და მზა ნაწარმის საამქროს აბარებენ.

ქარხნის მთელი პროდუქცია მზა ნაწარმის საამქროში იყრის თავს. აქ რაიონული საბჭოს დეპუტატი მერი მიშველაძე და მისი ამხანაგები კონიაკს ჩვენს ქვეყანასა თუ შორეულ უცხოეთში სამოგზაუროდ ამზადებენ.

...ჩვენ კი კომბინატში გამეფებულმა შრომის რიტმმა და ტემპმა ფიქრები აგვიშალა და ფარული გულის წადილი გაგვიჩინა: მეტი გარეგნული შნო და ლაზათი მართებს ამ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართულ სასმელს, მეტ ელფერს შეჰმატებდა მას ორიგინალური შტრიხებითა და ტონებით დღევანდელობის კვალობაზე გადახალისებული ეტიკეტები, მეტად დაამშვენებდა ქართული ეროვნული ნაირსახოვანი ჭურჭელი. ისიც უსათუოდ მოუხდებოდა, რომ ჩვენს ეროვნულ მარანში დადუღებულ კონიაკს მსოფლიო ბაზარზე „ბრენდს კი არ ეძახდნენ, არამედ ჩვენი ბარაქიანი, მადლიანი ქართულიდან ამოღებულ რაიმე ფრთიან სახელს.

მარიკა გვიმრაძე

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲔᲬᲐᲫᲔ




ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

მხატვარი ელისო ცაბაძე

მივლინებიდან ვბრუნდებოდი. აგვისტოს თაკარა მზე ნებივრობდა ულრუბლო ცაზე. ავტოსადგურისაკენ მიმავალს ხელში ალარაფერი მეჭირა. სამგზავრო ჩანთა სადლაც მივათესე. კიდევ კარგი, შიგ ერთი იაფფასიანი პირსახოცი, უხმარი სქელი რვეული, თეთრ ქაღალდში გახვეული მცირე საგზალი და გზაზე პირის გასასველებლად ორად-ორი მკვახე ვაშლი მედო.

ის-ის იყო შოფერმა მანქანა ააგუგუნა, ცისფერ ავტობუსში რომ ავედი. მიმოვიხედე. ყველა სკამი დაკავებული იყო. მხოლოდ უკანა კარის პირდაპირ, გვერდითა მაგარ სკამზე, სადაც ჭაჭირვებით ოთხი ხორცლარიბი ადამიანიც ეტევა, ახლა მარტო სამი მგზავრი იჯდა: სვანურქუდიანი, შუახანს მიტანებული შავულვაშა კაცი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის საულვაშე შეგინგლული, ჭრელკვართიანი ჭაბუკი და თეთრწვერა, ფაფანაკიანი ბერიკაცი, რომელსაც გვერდზე ჩახსნილი ძველებური შავი სატინის ბლუზა ეცვა და ზედ ვერცხლისბალთებიანი ქამარი ერტყა.

— კახა, ბაბუ, ადე, უფროსს ადგილი დაუთმე! — წაუჩურჩულა ბერიკაცმა ჭაბუკს. საულვაშე შეგინგლული ბიჭი უმალვე წამოხტა:

— დაბრძანდით, ბიძია!

ხად იყო და სად არა, კარში შურდულივით შემოვარდა ხელში რუხფუთა დაჭერილი პირხმელი დედაბერი, ჩემსა და ჭაბუკს შუა გაიქროლა და ჯამბაზური სისწრაფით ჩაჯდა სპეტაკწვერიანსა და შავულვაშას შუა.

— დიდება შენდა, უფალო! — გამეცინა გუნებაში. — ამ ხნის დედაბერი რომ ასე დაფრინავს, ყმაწვილქალობისას რა იქნებოდა?!

ეტყობა, მანქანის გუგუნი რომ გაიგონა, იგუმანა, ვაითუ შოფერმა კარი ზედ ცხვირწინ მომიხუროს და დავრჩეო, გამოექანა, შეუჩერებლად შემოახტა, ავტობუსში წაფორხილდა და კი არ წაიქცა ბაქანზე, ზუსტად სკამის გათავისუფლებულ ადგილას დაეშვა, დაეშვა უვნებლად და ეს ღვთისწყალობად მიიჩნია, ხალვათად მოიკალათა ორკაცს შუა.

— ვაიმე, ბეჩა, თქვენი სკამი ხომ არ იყო?! — ახლაღა ამოგვხედა გაკვირვებით იქვე ფეხზე მდგარ ორ მამაკაცს და წამოიწია.

— ბრძანდებოდეთ, ბიცოლა, ბრძანდებოდეთ! ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ასეც არაფერი გვიშავს, — მივუგე მე. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, ორი კაცის ადგილი ერთმა დაიკავე და კეთილ ინებე, ადექი-მეთქი. რომც არ დაესწრო, ისედაც ხომ უნდა დაგვესვა!

— ჰე, ქუთაისისკენ ვინ მოდის კიდევ, ამოდით ჩქარა, თორემ გაგასწრებთ და მდიეთ მერე! — გასძახა ავტოსადგურის მოფუსფუსე მოედანს სარკმელში თავგაყოფილმა, გრუზათმიანმა, სქელკისერა შოფერმა. — მიმყავს იაფად და ნისიად!

— გაუტიე, გაუტიე ბარემ, ნულარ გვაგვიანებ! — შეეხმიანა შავულვაშა, — გაგვანიავე ცოტა, შე კაცო, თვარა დაგვახრჩო ამ ოხერმა ბულმა. მგზავრებს გზადაგზაც ბლომად იშოვი ახლა!

ავტობუსის მარცხენა მხარეს თითქმის ყველა სარკმელი გახსნილი იყო და სიგრილე მაინც არსაიდან შემოდიოდა. სალონში დაგუბებული სიცხე მხოლოდ მაშინ შეირხა, მანქანა რომ დაიძრა. შეირხა და მალე სულისშემხუთველი ბული ღია სარკმლებიდან გაიქცა კიდეც. გაიქცა იმ სისწრაფით, პირხმელი დედაბერი ავტობუსში რომ შემოიჭრა. მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს. მანდილოსნებმა პირისახესთან მარაოსავით მოფრიალე ნაირნაირი ცხვირსახოცები ხელჩანთებში შეინახეს.

მართალი გამოდგა შავულვაშა. ვინც კი ხელს აუწევდა, შოფერი ყველას უჩერებდა მანქანას, არც ეკითხებოდა, შორს მიდიოდა თუ ახლო-მახლო. ავტობუსი მალე კუპატივით გაიტენა, ერთი კაცი უკანა ბაქნის საფეხურზეც კი დადგა. სქელკისერა შოფერი მაინც გულმოდგინედ კრეფდა მგზავრებს.

დიდ მოსახვევთან მანქანას ორი ბიჭი გადაუდგა გზაზე. როგორც იტყვიან, ერთი ნალდად სულ წვიმიანში იყო გაზრდილი, მეორე — სულ გვალვაში. ახმახს საყელო გახსნილი მოკლესახელოებიანი ცისფერი კვართი ეცვა, ქონდარას — დიდჯიბეებიანი ხორცისფერი კიტელი. ახმახს შავი ქოჩორი უბიბინებდა, პირჭორფლიან ქონდარას წითლად უელავდა თმა. დაბალი მაღალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა.

— არ გაუჩერო! — თაგვივით დაიწრიპინა მხრებში ბორუათავჩარგულმა მამაკაცმა. — ეს შენი ავტობუსი „ბეზრაზმერნი“ ხომ არაა!

— აბა, ადამიანის ტყუილუბრალოდ გასრესისათვის ციხეში ხომ არ ჩავჯდები! — თავი იმართლა შოფერმა და უმალვე უკანა კარი ქშუტუნით გაიღო. ორივე ბიჭი შემოეკვეხა. კარი ძლივს დაიკეტა. ახმახს რეზო ერქვა, ქონდარას — ნიკო.

ნახევარი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, ავტობუსში ლოყებწითელი, მკვირცხლთვალება, გრძელცხვირა გოგო ამოვიდა და კიბის საფეხურზე გაჩერდა. მალალმკერდიანს, ვაშლით სავსე კაპრონის დიდი ბადურა ეჭირა.

რეზომ გოგოს შეავლო თვალი, მაგრამ ადგილის გაცვლა არ შეუთავაზებია, ლაზღანდარულად ჰკითხა:

— ქალიშვილო, რა ჯიშისაა ეგ ვაშლი?

— ძალიან გაინტერესებს, ვაჟკაცო? — მკვირცხლი თვალები აათამაშა გოგომ.

— რომ არ მაინტერესებდეს, არც ვიკითხავდი! — ვითომ სერიოზულად მიუგო ახმახმა ბიჭმა და ქოჩორი თითებით გადაივარცხნა. — ჰე, გამიმხილე!

— რა ჯიშისაა და... სხვაგან არ ვიცი, ჩვენში კი ვარდოს ვაშლს ეძახიან.

— ვარდოს ვაშლს?! ბიჭოს! ეს რალაც ახალი ჯიში უნდა იყოს! ნეტავი ვინ იყო ვარდო?

— არ ვიცი მე, ვინ იყო ვარდო, ჩვენში ამ ჯიშის ვაშლს ეძახიან ასე.

— შენც ვარდო ხომ არ გქვია?

— მე რატომ უნდა მერქვას ვარდო? — იწყინა გოგომ.

— ისე... ლამაზი სახელია. მით უმეტეს, როცა გოგოს ლოყები ვარდის ფურცლებივით წითლად უპრიალებს, ყველაზე მეტად ეს სახელი დაშვენდებოდა.

— მე ჩემს სახელს ოდნავადაც არ ვწუნობ, ნათლიაჩემს სულაც არ ვემდური.

— მზეთუნახავა გქვია?

— მზეთუნახავა კი არა... მზეთუნახავა სახელად ვის გაუგონია, ციცინო მქვია.

— ციცინო გქვია? — გოგო-ბიჭის საუბარში ჩაერია ნიკო. — უჰ, მე მიყვარს ძალიან ეს სახელი! ერთი კარგი ლექსიც ვიცი ციცინოზე, — და აღიღინდა.

> ჰეი, ციცინო, ციცინო, წამოდი, ჟრთად ვიძინოთ,
> მო, მკლავზე გადაგიწვინო...
> აწი სულ ერთად ვიაროთ, ვიღუღუნოთ და ვიცინოთ!

ეს ლექსი შენზე ხომ არაა გამოთქმული?

— ჩემზე ლექსი არავის დაუწერია, არც სკოლაში, არც მერე. — სერიოზული სინანულით ჩაილაპარაკა ციცინომ.

— ნუ გეშინია, აწი დაგიწერენ... პოეტები ლექსებს დაგიწერენ, მხატვრები დაგხატავენ! — დაიმედა გრძელცხვირა გოგო კაფანდარა ბიჭმა, ახმახ ამხანაგს კი გადაულაპარაკა: — ისე ღმერთი მაგას ააშენებს!

ციცინოს ქონდარა ბიჭის ბოლო სიტყვები არ გაუგონია, ალბათ იმან, რაც ადრე მოისმინა, იმდენად დაიპყრო მთელი მისი არსება, სხვა რამის გაგონება არც ეწადა, ისედაც ლოყაწითელა გოგოს სიწითლე უფრო მოეძალა, მთელი პირისახე მუხის ნაკვერცხალივით გაულღვივდა, მწიფე მაყვალივით შავი თვალები კი მზესავით აუელვარდა.

შურდულივით შემოვარდნილ პირხმელ დედაბერს ერთხანს რუხი ფუთა მუხლისთავებზე დადებული ეჭირა, მერე სკამქვეშ შეჩურთა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. ჯერ გულმოდგინედ შეათვალიერა ის მამაკაცები, ვის შუაშიც კოხტად იჯდა, მერე სხვა მგზავრებსაც გახედ-გამოხედა, სანამდეც თვალი მიუწვდა. უცებ სპეტაკწვერიანი მოხუცის შვილიშვილს მიაშტერდა, იმ მოხდენილ ჭაბუკს, ჩემ გვერდით რომ იდგა, უპეებთან თავმოყრილი ბებრული ნაოჭები საკმაოდ გაუსწორდა და თვალებში ნაპერწკლები აუციმციმდა.

— ვაიმე, ბიჩა, ეს ყმაწვილი ძალიან მეცნობა, ვერ კი მომიგონებია, სად მინახავს?! შენი დედ-მამის გახარებამ, რა გვარი ხარ?

— დავლიანიძე ვარ, ბებია, და კახა მქვია, — მიუგო ჭაბუკმა.

— დავლიანიძე ხარ?

— ბაბუაშენის სახელიც მაჩუქე, გენაცვალე, — ხმა სულ დაუშაქრდა დედაბერს.

— თორნიკე.

— აი, თურმე რატომ მეცნობი! შენ დაურჩი პატრონს, ბიჭო, შენ დაურჩი პატრონს! გაჭრილი ვაშლივით დამგვანებიხარ ბაბუაშენს... შენხელა რომ იყო, იმ ბაბუაშენს... ყოველ ზაფხულს დედულეთში ამოდიოდა და, ხი, ხი, ხი, სულ მე დამდევდა, ხი, ხი, ხი, ჩემთვის ამოდიოდა დედულეთში. ეეჰ! ცოცხალია, ბიჭო, ბაბუაშენი?

— ვაიმე?!

— რატომ ვაიმე, აღარ გყავს?

— გვერდით არ გიზის მანდვე! — გაეცინა ჭაბუკს.

დედაბერი ახლა გაკვირვებით სპეტაკწვერიან ბერიკაცს მიაშტერდა:

— ვაიმე, ბეჩა! შენ თორნიკე ხარ, ადამიანო?! დამიბრმავდეს ორივე თვალი, მთელი გზა შემოგყურებდი, ვერ კი გიცანი?! აუუ, რამდენი წელიწადია აღარსად შემხვედრიხარ, ჰაუუ! შენი შვილიშვილი მეცნაურა და შენ — ველარ... ღმერთო ჩემო, სასწაული არაა ეს ამბავი?! შენ გამიქრი, ბიჭო, შენ გამიქრი, — თორნიკეს მხარზე ალერსიანად დაჰკრა დაშაშრული ხელი.

— მოიცა, მოიცა?! — ახლა ფაფანაკიან ბერიკაცს გაუფართოვდა თვალები და აუციმციმდა კიდეც. — გვანცა ხარ, შენ, ქალო? გვანცულია?

— აპა, ვინა ვარ, შენ არ გამიქრი ბიჭო, შენ არ გამიქრი არასოდეს! ამას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე გვერდიგვერდ დავსხდებოდით და ერთმანეთს ველარ ვიცნობდით? ეს შენი ხატი შვილიშვილი რომ არა, ალბათ, ისე დავშორდებოდით ერთიმეორეს, ვერც გავიგებდით, ვის გვერდით ვიმგზავრეთ! ეჰ, რა არის წუთისოფელი, რაზაირად გვამასხარავებს, შენი ჭირიმე, რანაირად! მივდივართ, მოდიან... ეჰ!

— კი გამიკვირდა, ვინაა ეს ცქნაფი დედაბერი, მანქანაში ასე ქურციკივით რომ შემოხტა-მეთქი, მარა, იმას რა მაფიქრებინებდა, თუ შენ ის ახტაჯანა გვანცულია იქნებოდი, ხეებზე სკვინჩა ჩიტივით მსუბუქად რომ დახტოდა. ეჰ, მართლაც, რამდენჯერ გამოგეკიდე ნამკალში, რიყეზე, სამწყემსურშიც და ვერ დაგეწიე... გახსოვს?

— გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს, თვარა, მაშინდელ ამბებს სიკვდილის მეტი რა დამავიწყებს! კი მინდოდა, დაგეჭირე, მარა, ვერ ივარგე, ხი, ხი, ხი! მეტი ფხა რომ გამოგეჩინა, ახლა ეს თვალტანადი ბიჭი, ტფუ, ტფუ, ტფუ, ავი თვალი არ ეცეს, ქვისკენ და რკინისკენ პირი მიქნია, ჩემი შვილიშვილიც იქნებოდა, შენ არ გამიქრი, თორნიკე, შენ არ გამიქრი! ისე, ჩემო თორნიკე, არც მე ვარ ბედისგან დაჩაგრული, მეც არა მყავს ურიგო შვილიშვილები, ერთი რუსთავის დიდ ქარხანაში ინჟინერია, მეორე — სახლებს აშენებს, მაღალ-მაღალ სახლებს, თავი მეცხრე ცაში რომ აქვთ აწეული, მესამე ახტომობილებს აკეთებს, ახლა სწორედ იმ შვილიშვილთან მივდივარ, ტყუპი შეეძინა და დამიბარეს, ჩამოდიო. ერთს თურმე ჩემი სახელი დაარქვეს, აბა!.. პატარა გვანცა გაჩნდა, პატარა გვანცულია.

იდუმლად აჩურჩულდნენ. ორივეს პირისახე ხან ექმუხნებოდა, ხან უნათდებოდა. ალბათ, ჭაბუკი თორნიკე კვლავ მისდევდა ახტაჯანა გვანცას და ვერ ეწეოდა...

აქეთ კი ახმახი ბიჭი კვლავ ულიმოდა ლოყაწითელა გოგოს:

— ციცინო, იერით ერთობ კარგი ჩანს ეგ შენი ვარდოს ვაშლი, საინტერესოა, გემოც თუ შესაფერისი აქვს...

— მიირთვით! დააჭაშნიკეთ! — მძიმე ბადურას მაღლა სწევს ციცინო.

— როგორ გეკადრებათ, ეს ისე ვთქვი, სიტყვის ბარაქად...

ავტობუსი გზაჯვარედინთან გაჩერდა და ბაქანი შეხალვათდა. ხუთი მგზავრი ჩავიდა და მხოლოდ ორი შემოგვემატა: სავსე ხურჯინიანი, მწვანე პიჯაკიანი ჩასკვნილი მამაკაცი და ეშხით გაცისკროვნებული შავგვრემანი ქალიშვილი.

ქალიშვილი ციცინოს ნაცნობი გამოდგა და ისინიც დაწყვილდნენ რეზოსა და ნიკოს მეზობლად, ჩვენს გვერდით.

— წელსაც ვერ მოეწყვე, გოგო? — ჰკითხა შავგვრემანმა ქალიშვილმა ციცინოს.

— ვერა! — ძლივსგასაგონად მიუგო ლოყაწითელა გოგომ. — მაგრამ ჯერ ფარ-ხმალს არა ვყრი, გაისადაც უეჭველად ვცდი ბედს. ხომ იცი, ცდა ბედის მონახევრეაო. — ბადურა შუაბაქანზე დადებულ ხურჯინზე დააყრდნო, ხელი შეასვენა.

— სად აბარებდი, ციცინო? — დაინტერესდა რეზო.

არა, ახლად ამოსული ეშხა გოგოსკენ როდი გაექცა თვალი, ისევ ციცინოსთან გააბა საუბარი.

— ის ჩემი საქმეა, სადაც ვაბარებდი, შენ არ გეკითხება! — საყვედურივით მიუგო ციცინომ.

— მაინც, მაინც! თუ დიდი საიდუმლო არ არის, გაგვიმხილე!

— ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვაბარებდი, მერედა, რა გინდა შენ?

— არაფერი. თბილისში უნდა ჩაგებარებინა... ლამაზ გოგოებს თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ იღებენ...

ციცინოს პირისახე გაებადრა, ეტყობა, ქათინაური ესიამოვნა.

— გაისადაც რომ ვერ ჩააბარო, რას იზამ? — ჰკითხა რეზომ.

— კიდევ ვცდი. რა ღმერთი გაწყრება, ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ გამიმართლდეს!

— ისევ ქუთაისში?

— ჰო, ქუთაისში, აბა, სად!

— თბილისში ჩამოდი.

— ქუთაისში დეიდა მყავს, თბილისში — არავინ.

— მაინც თბილისში გირჩევნია. იქაც გამოგიჩნდება ვინმე ახლობელი. ისწავლი და თანაც გათხოვდები.

— გათხოვილი ვარ.

— არ გეტყობა, არაფრით არ გეტყობა.

— შეყვარებული მყავს, საქმრო.

— მერედა, ახლა სადედამთილოსთან მიგაქვს ეგ ვარდოს ვაშ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი? გინდა მოთაფლო?

— ვისთანაც მიმაქვს, იმასთან მიმაქვს.

— თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაგ ლამაზ ვაშლს ეგებ გემო სულაც არ უვარგა, გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან — მოყვარეს. ზოგი მკვახესაც ჰგავს.

— ა, გასინჯე! შენით აიღე, რომელიც მოგეწონოს!

— შენით არ მომეცი და მე თავხედი ხომ არა ვარ, სხვის ბადურაში ხელები ვაფათურო! ეს ბადურაც ვარდოს მოქსოვილი ხომ არაა? გამებუტე?

მაყვლისთვალა გოგომ ახლა უკვე ალმაცერად ახედა — სწორედ შენი ანგლობისთვის მცალიაო.

სიჩუმის ანგელოზებმა ჩამოიფრინეს გაბუტულებივით მდგარ გოგოსა და ბიჭს შუა.

ეს სიჩუმე ჭორფლიანმა, ქონდარა ბიჭმა დაარღვია:

— რეზოია, რას გადაეკიდე ამ თვინიერ ქალიშვილს? ეტყობა, ეს ვაშლი შინიდან თვლით გამოატანეს — სადედამთილოს უკლებლივ მიუტანე, თორემ ვაი შენი ბრალიო! ერთიც რომ დააკლდეს, ხომ იცი, რა უბედურება დატრიალდება, უმალვე დაკარგავ საბედოსო!

— ჰოო, თვლით თუ გამოატანეს და თანაც ასეთი მტკიცე დავალებით, ანგარიში ანგარიშია, რაღა მეთქმის, მართლაც უხერხულია თუნდაც ერთი ცალის მოკლება...

— აბა, არ იცი! — გაბრაზდა გოგო.

— ეჰ, რა დროსა ვარ ცოლიანი, თორემ შენისთანა გოგოს უსიკვდილოდ არავის დავანებებდი! მოდი, მივაფურთხოთ ეშმაკს, რაც იქნება, იქნება, გავუშვებ ცოლს და... წამომყევი.

—შეუყვარებულს ვერ ვუღალატებ, ვაჟბატონო! — რაკი გაბრაზებამ არ უშველა, აჰყვა გოგო ბიჭის თამაშს, — მით უმეტეს, გავიგე, რომ სანდოც არ ყოფილხარ. აგერ, უცებ ღალატობ ერთ ცოლს და... კაცი რომ უზნეობას დაეჩვევა, რაღა მოაშლევინებს. მეორე ცოლსაც უღალატებს და მესამესაც, თუ გზაზე შემთხვევით ვინმე მოეწონება უკეთესი ან უარესი... შენ თუ ასე წამდაუწუმ იცვალე ცოლები, კაი დახლი დაგიდგებათ შენც და ცოლებსაც...

ქონდარა ბიჭმა ისევ აუინჩა თავი:

— ნუ ხუმრობთ ორივე! არც ჩემი ძმაკაცია ცოლიანი და არც შენა გყავს, ქალიშვილო, შეყვარებული და ნუ იტყუებით. რაკი ერთმანეთი ერთის ნახვით მოგივიდათ თვალში, მოცდას და დავიდარაბას მოუკვდეს პატრონი, დღესვე იფსკვენით გვირგვინი და გაათავეთ საქმე, ქუთაისის ავტოსადგურში ბიძაშვილი დამხვდება თეთრი „ვოლგით", ჩაგსვამთ ორივეს და ჰერი! პირდაპირ მმაჩის ბიუროში გაგაქანებთ. ასე აჯობებს, ღმერთმანი, ორივესთვის.

— ბრძენი ძმაკაცი მყავს. თანახმა ხარ? — ჩაეკითხა შავთვალა გოგოს შავქოჩორა ახმახი ბიჭი.

— ჭკუით მოიქეცი, გირჩევნია! წადი, წადი, შენს ცოლს მოუარე!

— რომ წაგიყვან, მოგივლი კიდეც, აბა, რას ვიზამ!

— ვერ წამიყვან! — ციცინომ ზურგი შეაქცია რეზოს.

— ახლა ნამეტანიც ნუ დაიფასებ თავს, თორემ... თორემ შენვე დარჩები წაგებული! ბედი ყოველთვის კი არ ჩამოგივლის კარზე.

— დამანებე თავი ვიღაცა ხარ, რეზო გქვია თუ ეზო!

— ღმერთი, რჯული, თავდანებებული არა ხარ! შენ შენთვის, მე ჩემთვის! აი, ასე!

— რას შვები, რეზო? თავს იღუპავ და გოგოსაც ღუპავ? მიეძალე, ბიჭო, და უეჭველად წამოგყვება. ვერ ატყობ, უკვე გულში რომ ჩაუვარდი? ცოტაც დაუშაქრდი და წამოგყვება დღესვე, ავტოსადგურიდანვე! — ვითომ სერიოზულად ურჩია ქონდარამ ახმახს.

— ერთი უგემური ვაშლი ენანება ჩემთვის და გულს გაიმეტებს? — ხელი განგებ ჩაიქნია რეზომ. — ქალბატონო ციცინო, ოდესმე ჩემთან თუ მოგიხდათ სტუმრობა, ცხონებული ბაბუაჩემის დარგულ თაფლა მსხალს ძირიანად გაგატან შინ, თუ მოერევი, და ზედ მიჩურინის ვაშლსაც დავუმატებ. ასე იციან ჩვენში.

— მომეშვი, თუ ღმერთი გწამს. აყლარწულხარ უშნოდ, ჭკუა კი არა გაქვს. შენს თავს მიხედე, ჯერ ავტობუსის სახურავი არ აანგრიო, მერე — ცის ჰერიც.

— აი, თურმე რისი ეშინია, ვაითუ ამ მაღალ ბიჭს საკოცნელად ვერ ავწვდეო!

— ჯანდაბის ეშმაკმა გაკოცოს შენ!

— ეჰ, შენ, ალბათ, შუაზამთარში თოვლი რომ ვინმემ გთხოვოს, იმასაც არ გაიმეტებ! ასეთი სიძუნწე გაგონილა! ერთი, კაკლად ერთი ვაშლი ბიჭისთვის როგორ დაგენანა? სერიოზულად გეუბნები, სერიოზულად!

— თუ სერიოზულად მეუბნები, რატომ ერთხელ მაინც არ აიღე? რამდენჯერ შემოგთავაზე, მიირთვი-მეთქი!

— მე შენი ლამაზი ხელით მორთმეული მესიამოვნებოდა. არ მომეცი და, აკი გითხარი, ძალით ხომ არ ჩავყოფდი ხელს ბადურაში?

— შენი გასამასხრებელი არაფერი მჭირს, აყლაყუდა ვაჟბატონო!

— სამაცივროდ დაიდოს, ვინც შენ სასაცილოდ აგიგდოს! ადრე მართლაც გამომექცა ვარდოს ვაშლისკენ თვალი, ახლა კი... მტვერში ნაგორავები გაურეცხავად აღარც იჭმევა... ჩვენს საუკუნეში იმდენი ახალი ბაცილა გაჩნდა...

ისევ ქონდარა:

— არაუს თუ დააყოლებ, რა უჭირს, ყველა ბაცილას უმალვე მოკლავს... ერთი ყლუპი ჩვენებური არაყი და მაშინვე სული გასძვრება ატომურ ბაცილასაც კი. არა თუ?

დუმილი. მხოლოდ მანქანის დაძაბული გუგუნი ისმის — ალმართს შეექიდა.

— ეჰ, ვარდოს ვაშლის დარდით ამაღამ არ დამეძინება. მარტო ამაღამ კი არა, ამიერიდან ყოველ ღამე გამიტყდება ძილი და... დავიღუპები. ეს კი იქნება ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი და გამოუსწორებელი დანაშაული. ჰოდა, ეს უსაშველო დანაშაული რომ არ მოხდეს, მე რომ არ დავიღუპო და ამით მთელი მსოფლიოც არ გავაუბედურო, რაღაც უნდა ვიღონო თვითონვე. მაგრამ რა? ყოფნა-არყოფნა, საკითხავი, აი, ეს არის! ქუთაისში რომ ჩავალთ, ავდგები და ვარდოს ვაშლიანად მოგიტაცებ... აგერ, ჩემი გულითადი ძმაკაცის ლვიძლი ბიძაშვილის თეთრ „ვოლგაში“ შეგაფრენ ანგელოზივით და ჰერი! ტყვიაც ვერ დაგვეწევა. ესაა კაცობრიობის გადარჩენის ყველაზე საიმედო და სწორი, გონივრული გზა! ხოლო მამაშენს რომ არ შეეშინდეს, ელვით ვუდეპეშებთ, რომ გზაზე ძალიან კარგ ბიჭს გადაეყარე და ბედი ხელიდან რომ არ გაგეშვა, მშობლების დაუკითხავად გაჰყევი. აი, ნახავ, თუ არ მოგიტაცო, ციცინო!

— ნუ მაშინებ! ნუ მაშინებ, თორემ!..

— გაშინებ? განა მე ისეთი საშინელი ვარ, რომ... თუ მოგიტაცე, გადაირევი? თვალტანადობით მიწუნებ თუ საქციელით?

დუმილი.

— აი, გიტაცებ და... შენი სილამაზით გონდაბნეულმა ჯერ ისიც არ ვიცი, რა გვარი ხარ, ან — სადაური, ან — ვისი შვილი... ვარდოს ვაშლის ჯიშივით შენც სრულიად უცნობი ხარ ჩემთვის და... მაინც გიტაცებ. აი, როგორ მომაჯადოვე უცებ!

— რას გადამეკიდე, ადამიანო? ბოლოს და ბოლოს, ქუთაისს რომ მივუახლოვდებით, მაშინვე გადავხტები ავტობუსიდან, მერე იმ თეთრი „ვოლგით“ თქვენი შავი სისულელე მოიტაცეთ! დიახ, ასე ვიზამ, ადრევე გადავხტები!

— ყმაწვილებო, ყმაწვილებო, რა დღეში ხართ, რა დღეში! — ბიჭებისკენ შემობრუნდა გვანცა, — მთელი გზა გოგოს ახელებთ. რა მოგივიდათ, სხვანაირი ხუმრობა არ იციან თქვენში?

— ძვირფასო ბებია, რაზე შეგვატყვე, რომ ვხუმრობთ? — გაეპასუხა რეზო.

— კი, კი, თქვენმა მზემ და თქვენმა მთვარემ, სიყვარულის ჭიპი გაგისკდათ. ნამდვილი სიყვარული მუნჯია, თქვენ კი სულ ლაქლაქებთ და ლაზლანდარაობთ.

— ბებიაჩემო, განა დასაძრახია, გოგო-ბიჭები ერთმანეთს რომ გავესაუბროთ თუნდაც ასე — უწყინარი გახუმრებით? ცოტ-ცოტა თუ არ გავერთეთ, ამხელა გზაზე ხომ ჩამოვწყდით მუხლებზე, ფეხზე დგომელა როგორ ვაჯობოთ გზას? — ძმაკაცისა და თავის საქციელს გამართლება მოუძებნა ქონდარა ბიჭმა. — თქვენს სოფელქვეყანაში ასეთი ხუმრობა სულ არ იციან?

— ხუმრობა, დიახაც, ყველგან იციან, შვილო, — დაყვავებით უთხრა გვანცამ, — ოღონდ, გადაჭარბება არაფერს არ უხდება. ლაზლანდარული ხუმრობაც მთლად რიგიანი არ გახლავთ. თქვენ ჯერ არ იცით, ქალის გული რა არის. ბიჭები ხუმრობით იჯერებთ გულს, მერე არხეინად წახვალთ და შინ მშვიდად დაიძინებთ, გოგოებს კი შეიძლება ამაღამ და მერეც თქვენზე ფიქრით სულაც არ დაეძინოთ, ხუმრობა მართალი ეგონოთ და... წამით მაინც დაფიქრებულხართ ამაზე, თავქარიანებო?

— აუჰ, ეს რამხელა ამბავი არ გვცოდნია! ყველაფერი ვარდოს ვაშლის ბრალია, ბებიკო, ჩვენ არაფერში ვართ დამნაშავე, ღმერთმანი. ამიტომ ვარდოს ვაშლი უნდა დაისაჯოს... შეხრამუნებით.

— ყველაფერი ვარდოს ვაშლს თუ არ დააბრალოთ, კი ნუ იზამთ! ვიშ! ჩემ დროს სამოთხის ვაშლს აბრალებდნენ ყველაფერს, ახლა ვარდოს ვაშლი გამოიგონეს ამ გასახარებლებმა! ვიშ!

— დიახ, ბებიკო, დიახ, თქვენი ყმაწვილქალობისას, ეტყობა, ვარდოს ვაშლი არ იყო და სულ სხვა რამეზე ხუმრობდით... სხვათა შორის, თქვენ კაპრონის ბადურაც არ გქონდათ და ყველა ხილი კალათებით დაგქონდათ. ჩვენ სხვა დროში ვცხოვრობთ და ხუმრობაც სხვანაირი ვიცით... ჩვენში დარჩეს და, ეს მარტო ბრიყვული ხუმრობაც არ არის. ეტყობა, უფრო იდუმალი ძახილია. აი, შენ, ბებიკო, შენი წუთისოფელი განაღდებული გაქვს, შვილებიც გყავს, შვილიშვილებიც და ბადიშებიც, ჩვენ კი ახლა ვიწყებთ ცხოვრებას. თქვენ რომ წუთისოფელს ეძახით. ვეძებთ, ახლა ვეძებთ, ბებიკო, ჩვენს წუთისოფელს. — ეს ცისფერ კვართიანმა ახმახმა ბიჭმა თქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა? — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ.

— მართლა, აბა, ტყუილა!

— თუ ასეა, შვილებო, მაშინ... მაშინ ღმერთიც შეგეწევათ! კეთილი, კეთილი! ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება. მამაზეციერმა გაპოვნინოთ რასაც ეძებთ, მამაზეციერმა გაპოვნინოთ! იხარეთ, იბედნიერეთ და იმრავლეთ! — ლოცვა აღავლინა გვანცამ და ისევ თორნიკესთან გააბა ტკბილი ჩურჩული, თავის ყმაწვილქალობას დაუბრუნდა.

ავტოსადგურში ნიკოს მართლაც დახვდნენ თეთრი „ვოლგით“, შიგ რეზოც ჩაისვეს და ჰერი! ბიჭები ციცინოს არც დამშვიდობებიან. არც ციცინოს გაუყოლებია თვალი იმ თეთრი „ვოლგისთვის“, ვაშლით გატენილი მძიმე ბადურა მარჯვედ დაიჭირა მარჯვენა ხელში და ფეხით გაუყვა ქვაფენილს.

თორნიკემ და გვანცამ ცოტა ხანსაც უხმოდ უყურეს ერთმანეთს და მერე ისინიც ცალ-ცალკე გაუყვნენ გზას.

* * *

ზუსტად ორი წელიწადი გავიდა. ერთ მშვენიერ დღეს... ბოდიში, უფრო სწორად, ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს, ქუთაის-თბილისის მატარებლის კუპეში ვზივარ და დროის მოსაკლავად ძველ გაზეთს მესამედ ვკითხულობ.

გაიღო კარი და... გამოჩნდა ვარდისფერ საბანში გახვეული ჩვილი, რომელსაც ქალის მკლავები ეხვია.

„აუჰ, რა გაუძლებს ამაღამ ამის ღნავილსა და ჭყვირილს, მშვიდობით, ძილო!“ — გავივლე გუნებაში და ისევ გაზეთში ჩავრგე თავი, ქალმა ჩემი დაძმარული პირისახე და უკმაყოფილება არ დაინახოს-მეთქი.

თითქოს ჩემი ფიქრი გაიგონა და გამეპასუხაო, ჩვილის დედამ სალმის მაგივრად სანუგეშო სიტყვა მაჩუქა:

— ბატონო, არ შეგეშინდეთ! ეს მაიმუნი ისეთი ძილისგუდაა, მთელ ღამეს ერთხელაც არ წამოიტირებს ხოლმე. რაღა მატარებელში შეიცვლის ზნეს.

ხმა მეცნაურა. ავიხედე და... უპირველეს ყოვლისა, გრძელი ცხვირი მომხვდა თვალში. ნაღდად ციცინოა! ოღონდ ახლა ვარდოს ვაშლის მაგივრად ვარდისფერ საბანში გახვეული სამოთხის ვაშლის ნაყოფი უჭირავს, რომელსაც პირში საწოვარა უდევს და, ეტყობა, ჩვილურ სიზმარ-ცხადში გემრიელად ქეიფობს.

ქალს დაბარგული კაცი შემოჰყვა, წელში რომ გაიმართა, კინაღამ ვაგონის ჭერს აჰკრა თავი. უმალვე ვიცანი შავქოჩორა რეზო.

მათი ამბავიც იმ წუთშივე გავიგე.

მართალია, რეზო და ციცინო ავტოსადგურში გულგრილად დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმავე დღის საღამოს კვლავ ერთ ეზოში მოიყარეს თავი. ციცინოს დეიდა და რეზოს მამიდა მეზობლები აღმოჩნდნენ. აქ ახმახ რეზოს ლოყაწითელა ციცინომ ნამდვილად გაასინჯა ვარდოს ვაშლი. ჩაკბიჩა ბიჭმა და ერთობ გემრიელი ეჩვენა — სასწაულიაო! სიცილ-ხარხარით გაიხსენეს ავტობუსში გაჩაღებული ხუმრობა და... თითქოს გვანცას აღვლენილი ლოცვის მადლი შეეწიათო, მალე ამ სიცილ-ხარხარს საქორწილო მაყრული მოჰყვა.

ამ გოგოს უმაღლესში მოწყობა აღარ უცდია, მაგრამ... ეს ოდნავადაც აღარ ადარდებს, რამეთუ ისეთი უზენაესი ბედნიერება უჭირავს ხელში, რომელი უმაღლესი რამ შეედრება! ამ ბედნიერებას კი ვარდო ჰქვია.

ვარდისფერ საბანსა და ვარდისფერ სიზმრებში გახვეული პატარა ვარდო მართლაც ყოვლად წმინდა, უწყინარი და კეთილი გოგო გამოდგა, მთელ ღამეს ერთხელაც არ გავუღვიძებივარ, მატარებლის დაგადუგში მეც სულ ლამაზ სიზმრებსა ვხედავდი, ვარდისფერ სიზმრებს, და დილით, მზემ რომ შემოიხედა სარკმელში, უბედნიერეს კაცად გამეღვიძა.



თბილისში პერსონალურმა პენსიონერებმა შესანიშნავი სამსართულიანი (ხუთი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი) შენობა მიიღეს, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მეათე ხუთწლედის მონაპოვარს.

ცნობილმა არქიტექტორებმა, სასტუმრო „ივერიის" ავტორებმა ტონი კალანდარიშვილმა და რევაზ რევაზიშვილმა ჭეშმარიტად დიდი შრომითა და მდიდარი ფანტაზიით შექმნეს ეს დიდებული სასახლე.

სახლს გარს აკრავს სამი ჰექტარი ხეხილის ბაღი, რომლის გაშენებაზე ბევრს ფიქრობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი დეკორატორი ირაკლი ხმალაძე. სამი ჰექტარი სავსებით საკმარისია 110 პერსონალური პენსიონერის ზამთარ-ზაფხულ ხილითა და ბოსტნეულით მოსამარაგებლად, მთავარია ნაკვეთის გეგმიანი და ზუსტი გამოყენება.



მოხერხებული, კომფორტული ავეჯით დამშვენებული ჰოლები, ვესტიბული, კლუბი, ბიბლიოთეკა, საფრისტი გზაურილებათა ოთახი... ყველაფერი ისეა გათვალისწინებული, დაგეგმილ-დაპროექტებული, რომ აქ მოხუცებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ ოჯახში.

განსაკუთრებით ხალხმრავლობაა სამკითხველო დარბაზში. იგი მოხუცების თავშეყრის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ადგილია.



აქ მათ ახლობლებიც ხშირად ინახულებენ, ისე გასინჯეთ, ხშირად თავადაც მოიპატიჟებენ ამ ნათელ სახლში ნათესავ-მეგობრებს, ახლობლებს — წვეულებებსაც გამართავენ ყვავილნარში ჩაფლულ სასადილო ოთახში.

# პენსიონერთა ახალი სახლი თბილისში

ფოტორეპორტაჟი მოამზადეს
ნანული ბუკიამ და დავით იაკობაშვილმა



ლვანლმოსილი ადამიანები ხანდახან ჭადრაკისა და შაშის თამაშით ერთობიან.



პანსიონატს აქვს თანამედროვედ მოწყობილი კვების ბლოკი, სამზარეულო, ხილ-ბოსტნეულის პროდუქტების შესანახავ-დასამუშავებელი ოთახები. ექვსი კვალიფიციური მზარეულ-მიმტანი ცდილობს, რაც შეიძლება გემრიელად დამზადებული, ყუათიანი კერძებით ასიამოვნოს მოხუცები.



ბილიარდს მოხუცები მარტო გასართობად კი არა, სპორტული თვალსაზრისითაც თამაშობენ.



ექიმები, მედიცინის დები არასდროს აკლებენ ყალმოხდილ ადამიანებს — დროულად იკვლევენ მათს ჯანმრთელობას და ისე მკურნალობენ. საჭირო კურორტების საგზურებზე სოცუზრუნველყოფის სამინისტროს შესაფერისი განყოფილება ზრუნავს.



კეთილმოწყობილ ერთ, ორ და სამსაწოლიან ოთახებში მშვიდად ცხოვრობენ მოხუცები. რაღა არ არის იქ: რადიო, ტელევიზორი, საშხაპე, ტუალეტი, ექიმის გამოსაძახებელი სიგნალიზაცია... არაფერი აკლია ამ ბინებს.

X X X

ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რათა პანსიონატი მშვიდი და წყნარი მოხუცებულობის ბედნიერი სავანე გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატთან ლანა ღოღობერიძესთან



ლანა ღოღობერიძე

ლანა ღოღობერიძეს — გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მარტო საქართველოში კი არ იცნობენ, არამედ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც. ახლახან ლანა ღოღობერიძის ფილმს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა: საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. რეჟისორის ბოლო ნამუშევარი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ აღიარებულია 1979 წლის საუკეთესო საბჭოთა ფილმად, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსის ნაწარმოებად, რომელმაც ჩვენი თანამედროვე აზრი და განწყობილება გამოხატა. ეს დიდი გამარჯვებაა ქართული საბჭოთა ხელოვნებისათვის, ყველასათვის, ვისაც უყვარს რეჟისორი ქალის შემოქმედება. „საქართველოს ქალის“ მრავალათასიანი მკითხველი გულმხურვალედ მიესალმება პატივცემულ ლანა ღოღობერიძეს, მთავარ როლის შემსრულებელს სოფიკო ჭიაურელს და ფილმის შემქმნელ კოლექტივს, ულოცავს დიდ გამარჯვებას და უსურვებს ახალ წარმატებებს მომავალშიც.

რედაქციამ გადაწყვიტა, ინტერვიუ ჩამოერთმევინა გამოჩენილი კინორეჟისორისათვის. მას ესაუბრება კინომცოდნე **ოლღა თაბუკაშვილი.**

* * *

**— ქალბატონო ლანა, უპირველესად, ქალთა ჟურნალის ყველა მკითხველის სახელით გილოცავთ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებას. გთხოვთ, ჩვენი მილოცვა გადასცეთ თქვენს კოლეგებს, ფილმის შემქმნელ კოლექტივს, რომელთაც თქვენთან ერთად ღირსეულად ხვდათ წილად ეს დიდი ჯილდო. ჩვენ ვიცით, რომ კინემატოგრაფში მოსვლამდე ფილოლოგი ბრძანდებოდით, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. რატომ შეიცვალეთ პროფესია?**

— პროფესიის არჩევა ზოგჯერ ინტუიციით ხდება: პირველად, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე ვმეცადინეობდი, ცნობილ პედაგოგ გ. ტოვსტონოგოვთან. მაგრამ წლინახევრის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავედი. ეტყობა, სიყმაწვილის იმ წლებში ლიტერატურის, პოეზიის სიყვარულმა იმძლავრა ჩემს გულში. შემდეგ ასპირანტურა. გატაცება თაგორის, უიტმენის, ბოდლერისა და ვერლენის ლექსთა თარგმანებით... შემდეგ ისევ დავუბრუნდი რეჟისურას, დავუბრუნდი მტკიცე გადაწყვეტილებით — მესწავლა საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში გამოჩენილ რეჟისორ სერგეი გერასიმოვთან. მახსოვს, როგორ გაკვირდნენ ჩემი თანაკურსელები (მაშინ მესამე კურსზე გახლდით), როცა თბილისში გამოვემგზავრე გადაწყვეტილებით — დამეცვა დისერტაცია თემაზე: „უოლტ უიტმენი“. მაშინ 25 წლისა ვიყავი, და უკვე მტკიცედ მქონდა შეგნებული, რომ მხატვრული სახეების საშუალებით სამყაროსადმი ჩემი დამოკიდებულების გამოხატვა ყველაზე კარგად კინემატოგრაფით შემეძლო. აი, ამიტომ შევიცვალე პროფესია, მაგრამ, ლიტერატურის, პოეზიის სიყვარული დარჩა ჩემს პირველ სიყვარულად, სიცოცხლის ბოლომდე რომ მომყვება თან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— რა გიყვართ ყველაზე მეტად კინორეჟისორის პროფესიაში?**

— მუშაობის პროცესი. მხოლოდ მუშაობის პროცესი და არა თვით შედეგი ამ პროცესისა. ყველაზე მეტად დამონტაჟების პროცესი მიპყრობს: სამონტაჟო მაგიდაზე მოულოდნელად იშვება ხოლმე დრამატული აზრის მიმართულება, ის მსვლელობა, რომელიც არცკი გქონია თავდაპირველ ჩანაფიქრში. ეს წუთები ყველაზე ბედნიერია ჩემთვის, როგორც რეჟისორისათვის. ხელახლა რომ დავიწყო ცხოვრება, მაინც კინოს ავირჩევდი ამ შემოქმედებითი ბედნიერი წუთების გამო. თუმცა, მაინც მენატრება ლიტერატურული შრომა. და აი, ახლაც, გადაღებებს შორის შესვენების დროს, ვწერ ჩემი მოწაფის, თეატრალური ინსტიტუტის კინემატოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე, რომელიც საინტერესოა ჩემთვის არა მარტო თავისი რეჟისორული ნიჭით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, — თავისთავადი პროზით.

**— რახან საუბარი თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაზე ჩამოვარდა, გვითხარით, რა შთაგონებით მუშაობთ ხოლმე სტუდენტებთან, რა შთაგაგონებთ სტუდენტებთან მუშაობისას?**

— საერთოდ, სამყაროსთან ჩემს ყოველგვარ ურთიერთობაში ადამიანების სიყვარული მამოძრავებს. სტუდენტებთან პირველი შეხვედრიდანვე მებადება მათდამი პატივისცემა. მათთან ურთიერთობის დასაწყისში, ურთიერთგამდიდრების ინტერესი მიტაცებს, შემდეგ კი წლების მანძილზე ყოველი მათგანი ჩემი ახლობელი ხდება, ყოველი მათგანი მიყვარს. ჩემს სახელოსნოში თორმეტი სხვადასხვა ასაკის, მსოფლხედვისა თუ ხასიათის ქალვაჟი იყო. მე, როგორც პედაგოგს, მსურდა, ყოველ მათგანს მიეგნო თავისი მისწრაფება-მიდრეკილებისთვის, მიმეცა მათთვის თავისუფლად აზროვნების მაქსიმალური შესაძლებლობა, დავხმარებოდი ამ შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაში. ისინი ახალი თაობის წარმომადგენლები არიან და მათთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებით მივხვდი, რომ ეს თაობა, უწინარესად, მოაზროვნე თაობაა, შემოქმედებითად უკომპრომისო და პრინციპული.

**— როგორია თქვენი შემოქმედების მთავარი თემა, თქვენი ფილმების ძირითადი პრობლემა?**

— მე ყოველთვის მაინტერესებდა პრობლემა: „ეპოქა და პიროვნება", ის საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს დრო პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

როცა ეკრანებზე ჩემი პირველი მხატვრული ფილმი „ერთი ცის ქვეშ" გამოვიდა, კინოკრიტიკოსმა ანდრია ზორკიმ დაწერა რეცენზია „ტრიპტიქი დროის შესახებ". ჯერ კიდევ მაშინ, სტატიის ავტორმა იგრძნო ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.



სოფიკო ჭიაურელი



მარცხნიდან: ოპერატორი ნუგზარ ერქომაიშვილი, სცენარის ავტორი ზაირა არსენიშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი სოფიკო ჭიაურელი, სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ლანა ღოღობერიძე, მხატვარი ქრისტესია ლებანიძე და სცენარის ავტორი ერლომ ახვლედიანი.

გადიოდა წლები. ფილმიდან ფილმამდე ჩემი კინოსურათების („მე ვხედავ მზეს", „ფერისცვალება", „როცა აყვავდა ნუში", „აურზაური სალხინეთში" და „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე") საშუალებით ვცდილობდი, (თუმცა მიძნელდება იმის შეფასება, როგორ ვაღწევდი მიზანს), ვისწრაფოდი, ღრმად ჩავწვდომოდი პრობლემას, ვცდილობდი კამერის ობიექტივში მომექცია პიროვნება და მისი დრო.

გამოგიტყდებით, ერთი ნაკლი მაქვს, რომელიც ზოგჯერ ხელს მიშლიდა სისხლსავსედ მეჩვენებინა პიროვნება და მისი დრო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვჩქარობდი მომესწრო, მომესწრო, ყველაფერი მეთქვა ერთ ნაწარმოებში და შემოქმედებითს პროცესში. მერე ვიგრძენი, რომ ეს მცდარი გზაა. ვფიქრობ, ეს მისწრაფება დავძლიე ჩემს უკანასკნელ ფილმში.

**— რაზე მუშაობთ ახლა?**

— მე და ზაირა არსენიშვილმა, „ჩემმა" მუდმივმა დრამატურგმა, შემოქმედებითმა მეგობარმა დავამთავრეთ მუშაობა სცენარზე, რომელიც სოფლელი ქალის — ჩვენი თანამედროვის ცხოვრებას ეძღვნება. არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი გეგმებზე, მით უმეტეს, რომ არ ვიცი, რა გამოვა აქედან.

**— რა გიყვართ ყველაზე მეტად, უფრო ზუსტად, — რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— ყველაზე მეტად მიყვარს ადამიანი, პოეზია, კინო, ჩემი შვილები. თავისუფალ დროს თხილამურებით დავსრიალებ და ჩოგბურთს ვთამაშობ.

**— რა არის თქვენთვის ძვირფასი უკანასკნელ, პრემირებულ ფილმში?**

— ძვირფასია ალსარების ცდა. ბევრს ჰგონია, რომ ეს ავტობიოგრაფიული ფილმია. მაგრამ ეს ასე არ არის. ფილმში გამოსჭვივის გარდასული წლების ინტონაცია. ეს ჩემი ყმაწვილქალობის გახსენებაა, ეპიზოდები დედის მოლოდინისა, რომლის თბილ ალერსსა და სიყვარულს ათ წელიწადს ველოდი. ეს მოლოდინი და დიდი ხნის განშორების შემდეგ მასთან შეხვედრა მინდოდა გადამეტანა ეკრანზე. ძვირფას ადამიანთან შეხვედრის ტრაგიკული წუთების განცდა სხვისთვის ძნელი გასაგებია. მაგრამ ეკრანზე რომ გამოვთქვი, წლების განმავლობაში ნატარები მძიმე ტვირთი თითქოს ჩამომეხსნა ზურგიდან. ამავე ფილმში ძვირფასია ჩემთვის გმირთა ერთმანეთში ჩაწნული ცხოვრება, ბედთა გადაძახილი. და, რაც მთავარია, ამ ფილმით მინდოდა მეჩვენებინა, ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამესახა დედის ცხოვრების მეტად რთული და მეტად საინტერესო გზა. ამ გზაზე ყალიბდება ქალი როგორც მოქალაქე, პირუთვნელი და პირდაპირი, როგორც მეომარი ფარ-ხმალდაუყრელი, როგორც დედა და დიასახლისი, ოჯახის უღლის გამწევი, პატიოსანი, ამაღლებული... და მიხარია, რომ სოფიკო ჭიაურელის მიერ შექმნილი ჟურნალისტის — სოფიკოს იერსახე მაყურებელმა ასე გულთბილად მიიღო.

**— რას უსურვებდით ჟურნალის მკითხველებს?**

— ბედნიერების წუთებს, როცა გინდა იყვირო: „შეჩერდი, წამო!". ვუსურვებდი, ხშირად გაეხარებინოს ისინი ქართულ კინოხელოვნებას, ხშირად ყოფილიყვნენ მოწმენი ჩვენი ფილმების აღიარებისა და წარმატებისა. ამასთან, თქვენი საშუალებით, ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველთა წინაშე მინდა კიდევ ერთხელ მოვახსენო მადლობა ჯგუფს: რესპუბლიკის სახალხო არტისტს სოფიკო ჭიაურელს, რომელმაც ჩვეული ბრწყინვალე ოსტატობით შეასხა ფრთა ჩვენს ჩანაფიქრს, გადავუხადო მადლობა სცენარისტებს ზაირა არსენიშვილსა და ერლომ ახვლედიანს, ოპერატორ ნუგზარ ერქომაიშვილს, რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ქრისტესია ლებანიძეს, და ფილმის მონაწილე მსახიობებს მივულოცო მათ ეს დიდი წარმატება, ვუსურვო ბედნიერება პირადსა და შემოქმედებითს ცხოვრებაში!

ინტერვიუ აიღო
ოლღა თაბუკაშვილმა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი უკეთ არის, ვიდრე ერთი

„ორი უკეთ არის, ვიდრე ერთი, რადგან მათ კეთილი საზღაური ხვდებათ თავის შრომაში, რამეთუ თუ ერთი დაეცემა, მეორე წამოაყენებს, მაგრამ ვაი მარტოხელას ბრალი, თუ დაეცემა, წამომყენებელი არ ეყოლება"

ეკლესიასტე.

ამას წინათ ბარათი მივიღე. მისი ავტორი ჩემი მასწავლებელია, მათემატიკოსი. მე ის ახალგაზრდა, ლამაზი და შემართული მახსოვს. მითუმეტეს დამწყვიტა გული სიტყვებმა: „ცხრა წელია მიჯაჭვული ვარ ლოგინზე. თერთმეტჯერ ვიწექი საავადმყოფოში, მაგრამ უშედეგოდ, ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. უპატრონოდ დავრჩი, **მარტოხელად** (ეს სიტყვა ხაზგასმულია), რა ვიცოდი, თუ ასეთი მწარე მოხუცებულობა მექნებოდა, მე უბედურს, სიკვდილი სანატრელი გამიხდა, მაგრამ ვაი, რომ უკანასკნელ გზაზე შვილის ცრემლი არ გამაცილებს; ახლაღა ვფიქრობ, ვერც ჩემს თავს გამოვადექი და ვერც ერს შევმატე რაიმე. მეგონა, საქვეყნო საქმეს ვაკეთებდი, მაგრამ თურმე პირველ რიგში ოჯახი უნდა შემექმნა... რა ჰქონდათ დასაწუნი იმ ადამიანებს, მეუღლეობას რომ მთავაზობდნენ. თუმცა ახლა რაღა..."

თუ ამ წერილის სამზეოზე გამოტანას ვბედავ, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა, რაც შეიძლება მეტი პიროვნება იყოს დაზღვეული ასეთი მძიმე ხვედრისაგან; რაც შეიძლება ცოტანი იყვნენ ე. წ. მარტოხელები, რაც შეიძლება მეტი ოჯახი შეიქმნას, და, რაც მთავარია, ერის რაოდენობა კი არ მცირდებოდეს, იზრდებოდეს...

მივიხედ-მოვიხედოთ ჩვენს გარშემო: რამდენი გასათხოვარი, ასაკგადაცილებული ქალი, რამდენი მარტოობას შერჩენილი მამაკაცია. სოციოლოგები ერის ამ ძალზე მტკივნეულ პრობლემას ალბათ უამრავ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზს მოუძებნიან, მე კი ზოგჯერ მგონია, ამის მიზეზი წუნიობა და მედღეხვალიეობაა. შრომა ოჯახისათვის, შრომა შვილებისათვის, ერის გამრავლება, აკვანთან გათეული ღამეები, პატარებისათვის გაყოფილი ლუკმა, თავგანწირვის თუ გაბედული ნაბიჯის გადადგმის უნარი ბევრი ჩვენგანისათვის ჯერ კიდევ ლიტონი სიტყვებია.

ახირებული ვეგონებოდი ალბათ იმ მარტოხელა ქალებსა და კაცებს, ვისთანაც არა ერთხელ ჩამომიგდია სიტყვა ამ საზარელი სენის — შინაბერობის შესახებ.

— არავის მივყავარ და რა ვქნა, — კეკლუცად ხუმრობენ მოდურად მორთულ-მოკაზმული ქალები.

— ვერ შემხვდა ჩემი სწორფერი, ყველა ქალს კი სახლში ვერ შეიყვან! — აცხადებენ ვაჟკაცები. ისინი უკანმოუხედავად სარგებლობენ ყველა სიკეთით, რაც კი გვაბადია, თვითონ კი არ იხდიან უპირველეს მოვალეობას — შთამომავლობა გააგრძელონ და ამით იზრუნონ როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის მომავალზე.

ათასჯერ თქმულა და არ შეგაწყენთ თავს იმის შეხსენებით, თუ რამდენი შვილი ჰყავდათ ჩვენს წინაპრებს, რამდენ აკვანს არწევდნენ ჩვენი დიდედები და მათი დედები, რა იშვიათი და აბუჩად აგდებული იყო უშვილძირო, უცოლო და კერაგაციებული მამაკაცი; შრომობდნენ, იბრძოდნენ, ქვრივდებოდნენ, ობლდებოდნენ, გამუდმებულ ოფლისღვრაში იყვნენ, მაგრამ ქვეყანა მაინც პირწამოლმა მოდიოდა.

მაშ, დღეს რა გვემართება, ეგოიზმისა და სიზარმაცის რომელი ზღვა გადმოსკდა და გადმოდინდა?! დროდადრო ისევ იმ ოჯახებს შევთხოვთ ხოლმე კიდევ და კიდევ გააჩინონ შვილები, სამი და ოთხი ახალი სიცოცხლე რომ შეუქმნიათ, დაუქორწინებელ ქალთა და მამაკაცთა მთელი არმია კი, ეს „ოქროს რეზერვი", არხეინად დაჰქრის აღმა-დაღმა. ცხადია, მართალნი არ არიან ის მშობლებიც, ერთი ან ორი შვილის ამარა რომ დარჩენილან, მაგრამ მაშინ რაღა ვთქვათ მათ შესახებ, ვინც მხოლოდ საკუთარი „მეს" საამებლად მოვლენილა ამ ქვეყანას? ნუ ეწყინებათ მათ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი ადამიანები მხოლოდ სიტყვით არიან ერის ერთგულნი.

არსებობს სიყვარული და ბედნიერია ის, ვინც მთელ თავის ცხოვრებას საყ-

ვარელ ადამიანს უკავშირებს, მაგრამ რამდენი მწუხარება, სევდა და იმედის გაცრუება მოჰყვება ხოლმე განბილებულ გრძნობას. სამწუხაროდ სიყვარული ყოველთვის ქორწინებით არ გვირგვინდება. იგი ხან ძალზე ნაადრევია, ხან ძალზე ნაგვიანევი. სიყვარული ზოგჯერ, მარტის თვეში აყვავებული ტყემლისა არ იყოს, ცხოვრების ყინვით დამზრალი, უნაყოფოდ იფერფლება, მხოლოდ ეს არის, არ-მარეს სპეტაკი ფიფქით მოაზარნიშებს ხოლმე.

სიყვარული ღვთაებრივი ჯილდოა, მაგრამ იგი ფუფუნებაც არის. შესაძლოა, პარადოქსადაც მოეჩვენოს ვისმეს, მაგრამ, ჩემის აზრით, მხოლოდ სიყვარულის ლოდინით ფონს ვერ გავალთ: თუ სიყვარულმა ერთხელ, ორჯერ არ გაგვიმართლა, შემდეგ კი ე. წ. „კრიტიკულ ასაკში" იგი ხელახლა აღარ მოგვევლინა, ეს ჯერ კიდევ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ოჯახის შექმნა შეუძლებელია. თუ პიროვნება (ქალი იქნება ეს თუ კაცი) კეთილგონიერი, დამთმობი და მშრომელია, მის მიერ მონონებით, სიმპატიით, შეგნებით და გააზრებული მოვალეობის გრძნობით შექმნილი ოჯახიც ისეთივე მყუდრო და ნათელი იქნება, როგორც სიყვარულით შექმნილი; მარადიულია სიბრძნე, რომელიც დასაწყისშივე დავიმოწმე: „ორი უკეთ არის, ვიდრე ერთი, რადგან მათ კეთილი საზღაური ხვდებათ თავის შრომაში, რამეთუ თუ ერთი დაეცემა, მეორე წამოაყენებს, მაგრამ ვაი მარტოხელას ბრალი, თუ დაეცემა, წამომყენებელი არ ეყოლება" („ეკლესიასტე").

ჩემი უხილავი ოპონენტი, ვიცი, სიყვარულის თაობაზე არ დამეთანხმება: როგორ, პოეტი ქალი უსიყვარულოდ ოჯახის შექმნას ქადაგებსო?!

— უკიდურეს შემთხვევაში, ჩემო ბატონო, მარტოობას მაინც ასე უნდა გვიჯობდეს... ვიმართლებ მე თავს, მას კი უკვე ეკონომიკური პირობების შესახებ უნდა სიტყვის წამოწყება.

ეკონომიკური პირობები, ვფიქრობ, მთავარი არ არის. დღეს აღარავის შია; ომის დროს იბადებოდნენ ბავშვები, არსებობს 41-ში, 42-ში, 43-ში, დაბადებული თაობა. თუ მათ კერძო პედაგოგებთან მუსიკა და უცხო ენა არ უსწავლიათ, ცუდი მამულიშვილები არიან?! ბავშვები მომცრო ბინაშიც მშვენივრად იზრდებიან; მე რომ მკითხოს კაცმა, ზედმეტი ფუფუნება და თანგადაყოლა უარყოფითადაც მოქმედებს მოზარდზე, კლავს მასში ინტერესს, უკეთესის მიღწევის სურვილს.

ეჰ, გული გულობდეს, თორემ...

არსებობს დროებითი და მარადიული ღირებულებები. მარადიულში იგულისხმება მამული, მშობელი ხალხის ენა, შენი ქვეყნის მიწა-წყალი, ეროვნული კულტურის სიმაღლით გამოწვეული სიამაყე, ხელოვნება, ადამიანური მაღალზნეობა, დედაშვილობის მადლი, მამობა, სიკეთე, ბუნების კანონებისადმი ერთგულება. დროებითი და წარმავალია ყოველივე, რაც ასუსტებს პიროვნებაში დაბუდებულ კეთილშობილ საწყისს, პატივმოყვარეობა იქნება ეს, სიმდიდრე, თანამდებობა თუ სხვა მრავალი. ჩვენი ვალია, პირველ რიგში იმ მარადიული ფასეულობის წინაშე ვიყოთ პირნათელნი. დროა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ მარტოხელობა ერთგვარი უნიათობა და ღალატია ერის ნათელი მომავლის მიმართ, ისევე, როგორც საკუთარი თავის მიმართ და ეს პირველ რიგში მამაკაცებს შეეხება, შემდეგ კი, შეიძლება ზოგიერთ ქალსაც. დღეს უკვე ბევრ ქალს ჰყოფნის გამბედაობა გააჩინოს შვილები საყვარელი კაცისაგან, თუნდაც მასთან კანონიერ ქორწინებაში არ იყოს, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის: ჩვენ რომ ისეთი მამულიშვილური პათოსით ვზრდიდეთ ახალგაზრდობას, როგორც ჩვენი მამა-პაპა იყო აღზრდილი, არც ერთი მათგანი არ გასწირავდა თავს უნაყოფობისათვის, არ მოიკლებდა იმ უზარმაზარ სიხარულს, რასაც დედობა ან მამობა იძლევა. იშვიათად შემხვედრია ქალი, რომელსაც შვილის გაჩენა ენანოს, ისეთები კი ბევრნი არიან, ვინც ცასა და მიწას შესტირის თავის მარტოობას, საკუთარი თავისთვის რომ მიუსჯია ახალგაზრდობიდანვე.

სათქმელი უნდა ითქვას. რა[illegible]ლავია და, ზოგჯერ უფროსებიც [illegible]ვენ ახალგაზრდების მიმართ. ვინ იცის, რამდენ დედას აწევს კისერზე გაუთხოვარი ქალიშვილის, დაუცოლშვილებელი ვაჟის ცოდო: პირველად ვინც უყვარდა, არ შეართვევინა, შემდეგ კი მირჩა, დაიჩაგრა, ჩამოშინაბერდა. დაე, შეიქმნას ოჯახი ახალგაზრდების ნებაზე, ოღონდაც წინასწარ მოფიქრებული და აზრიანი იყოს ეს ნაბიჯი.

ვფიქრობ, დასამალი არ არის, რომ ჩვენი წინაპრები ხშირად შუამავლის მეშვეობით მონახავდნენ ხოლმე შესაფერის სასიძოს ან საპატარძლოს. და ამაში არაფერი იყო საძრახისი. ჩვენ კი ამდენი ხანია კეთილი ნაცნობობის კერებზე ვოცნებობთ, სადაც თბილი, ნაზი ატმოსფერო სასაუბროდ, სასამეგობროდ განაწყობდა ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც! ასეთი რამ უთუოდ უნდა გაკეთდეს და იქცეს ეს ადგილი არა უხიაგი გართობის კუთხედ, არამედ მწერლებთან, მუსიკოსებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან შეხვედრებისა და გულითადი სიახლოვის ცენტრად.

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო; მე ამ ანდაზას ჩემეული ინტერპრეტაციით აღვიქვამ: გზა ხომ გამოჩნდა და გადაბრუნებული ურმის წამოყენება კი არც ისე ძნელია. არ არსებობს მდგომარეობა, საიდანაც ნათელ გზაზე არ შეიძლებოდეს გასვლა.

ვწერ ამ სტრიქონებს და თვალწინ მიდგას ერთი ჩვენი დიდად ნიჭიერი ცნობილი მსახიობი ქალი, რომელმაც რომელიღაც რესპუბლიკიდან ბაბუაწვერასავით ნაზი, ყვითელთმიანი გოგონა ჩამოიყვანა და მის ფართო თვალებში ჩაღვარა თავისი დედური სითბო. ვინ იტყვის, რომ ისინი დედა-შვილი არ არიან, ვინ იტყვის, რომ რაკი მეუღლე არ ჰყავდა და უშვილო იყო, დედობის სიამე და სიტკბო ვერ იგემა.

დიახ, იმედი ყოველთვის ანათებს ჩვენს ირგვლივ. არც გადაბრუნებული ურმის გზაზე დაყენებაა შეუძლებელი. მთავარია, არ ჩავიკეტოთ საკუთარ ნაჭუჭში, არ ჩავიშრიტოთ უნაყოფოდ, მთავარია, ჩვენში უნაზესი შუქით ენთოს დიდებული გრძნობა — მამულისადმი ერთგულება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი შეუქმნელი ოჯახი ერის სატკივარია; დიახ, რაც ერს სჭირდება, იგივე ესაჭიროება პიროვნებასაც და ერთის ბედნიერება კი არ გამორიცხავს, არამედ თავისთავად გულისხმობს მეორის ბედნიერებასა და გამრავლებას..

მე ასე ვფიქრობ, მე ასე მესმის, შენ რას იტყოდი, ჩემო ძვირფასო თანამოსაუბრევ — ჩემო მკითხველო?!

~~ნელი გაბრიჩიძე~~

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბ...







# ბალავარი

ოდითგან ასე ყოფილა: როცა ქართველი კაცი სახლის აშენებას დააპირებდა, ყველაზე ბედნიერ კაცად მიჩნეულ მეზობელს მიიწვევდა, საძირკველზე ფეხს დაადგმევინებდა, ვერცხლის უზალთუნებს მოაბნევინებდა, სიკეთე, სიუხვე დაგვებედებაო. ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშშიც ასე იცოდნენ ძველთაგან...

მაგრამ მაშინ ათასში ერთი თუ გაუბედავდა შებმოდა ძნელ საქმეს — სახლის აშენებას, რადგან დუხჭირი ცხოვრება არ აძლევდა გასაქანს, ფეხბედნიერი კაცის ლოცვა კი, ცხადია, სახლს ვერ ააგებდა!

დღეს ბევრი ახალი ფუძე შენდება სოფლად, მათ შორის სოფელ ხორშშიც. ციზეთის უბანს რომ ეძახიან ხორშელები, აი იქ ცხოვრობს ერთი წყნარი, უპრეტენზიო ქალი, ვერა ღვამბერია და მისი დიდი ოჯახი.

სოფელში კოლმეურნეობა რომ დაარსდა, ვერა ღვამბერია პირველი დღიდანვე მისი წევრი გახდა. წალდით უკაფავს კოლხურ მიწაზე ეკალ-ბარდები, ჩაი უთესია, უბარავს, უკრეფია, ალალად უშრომია მთელი სიცოცხლე, ოღონდ ერთადერთ ვაჟს ვენიას უმამობა არ ეგრძნო...

მოესწრო ვაჟიშვილი, დააოჯახა და ღვამბერიების პატარა ფუძე ერთიანად გაიზარდა. ათმა სიცოცხლემ აახილა თვალი და აიდგა ახალ ფუძეზე ფეხი. ჯერ მაია გაჩნდა ოჯახში, მერე ნანა, მერე ზეზა, ზაალი, ეკა. მანუჩარი, ნონა. ნინო, მამუკა და თქვენ უნდა ნახოთ ნაბოლარა ასმათი, რომელიც ჯერ კიდევ არ მოსცილებია დედის კალთას, სტუმარს რომ დაინახავს, ეშმაკუნა თაფლისფერი თვალებით შესციცინებს.

ათი შვილიშვილი შემოჯარვია სვებედნიერ ბებიას. ეს მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილის ვენიას და, როგორც თვითონ ამბობს, „კუჩხიბედნიერი“ რძლის ნელის შვილები, მისი ნაშიერები არიან, გაზაფხულის ყვავილებად რომ მოჰფენიან ეზოკარს.

ასე, შვილების აღზრდაში მიდიოდა დრო და დარჩა ოჯახი მამაპაპისეულ ორთვლიან მიწურში. ჰოდა, ვიწრო კედლებმა ვერ დაიტია შვილმრავალი ოჯახი.

ჯაფა გაიორკეცეს, სახელმწიფო რომ დახმარებას უწევდა, იმისაგან დანაზოგის ფონდი შექმნეს, ჩაის კრეფდნენ, ყანას მარგლავდნენ, აბრეშუმის პარკს ამზადებდნენ და ახალ ოდა-სახლზე ოცნებაში თენდებოდა მოლით მოფენილ ეზოში ყოველი დილა.

ალბათ, იმ მზიან დღესაც ამ ფიქრში იყვნენ, როცა ჭიშკარმა გაიჭრიალა და ეზოში ფეხბედნიერი ადამიანები — სოფლის თავკაცები და რაიონის ხელმძღვანელები შემოვიდნენ. აქა მშვიდობაო, თქვეს და სასიხარულო ამბავი მოიტანეს: მალე კაპიტალური ორსართულიანი სახლი გექნებათ და პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ მასპინძლებს გადასცა ცნობილი ქართველი მწერლის კიტა ბუაჩიძის პირადი საჩუქარი — საავტორო ჰონორარიდან დანაზოგი [illegible] ათასი მანეთი, მშვიდობაში და შენებაშიო, ლხინსა და ბედნიერებაში მოგეხმაროთო.

მალე რაიონის მთავარმა არქიტექტორმა ვენე არჩაიამ სახლის პროექტი გაამზადა. მერე ახალგაზრდა ინჟინერმა დავით კახიანმა საძირკვლის ადგილი მოზომა. კაცი კაცითაო, ესეც ხომ გაგიგონიათ და მოვიდნენ მეზობლები, თანასოფლელები, მოზიდეს ხრეში, ქვიშა, აგური, ცემენტი, სიმღერით გაჭრეს სახლის ფუძე და ბეტონის ბალავარიც ჩაადუღაბეს.

თანდათან მაღლდება ღვამბერიების სახლის კედლები. ყველანი აქ არიან, სოფლის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები, კიდევ ერთი ახალი სახლი შენდება მზისქვეშეთში, მალე გადახურავენ, და შორს არ არის ის დილა, როცა ძველ კერაზე ახალი ოდა სამოყვროდ გააღებს კარებს, აგუგუნდება „კუჩხი-ბედნიერი“ და „მრავალჟამიერი“.

პირველი სადღეგრძელო მის ჭერქვეშ იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელმაც ეს საქმე ითავა, თვითონ მოიკლო, რათა ქართველთა მოდგმის, ქართული სისხლის ათ ძარღვს და შტოს, მზისკენ ასაფრენ ათ სიცოცხლეს ლამაზი კერა ჰქონოდა, პირველი სადღეგრძელო იმისია, ვინც თავისი ნიჭით მონაგარი კოლხეთის მადლიან მიწაზე ბალავრად დაუდო ერთ შვილმრავალი ოჯახის სამოსახლოს.

* * *

ამბობენ, ხორშში ახლაც იპოვი ძველისძველ საბრძოლო და შრომის იარაღებსო, ოქროს ნაკეთობებიც უპოვიათ აქ არქეოლოგებს, მაგრამ რა ოქრო შეედრება ნელი და ვენია ღვამბერიების მეთერთმეტე ვაჟს, ახლახანს რომ შეეძინათ და მწერლის პატივსაცემად კიტა დაარქვეს!

ანდა, იმ სულისთქმას, ერთობა რომ ჰქვია სახელად და ქართულ სოფელში კიდევ ერთ ახალ სახლს აშენებს!

გვამაღლებს იმის შეგნება, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სოფელ-ქვეყანაში არასდროს დაილევიან ქველმოქმედი, კეთილშობილი ადამიანები, რომელთა წუთისოფელი მოყვასის ბედნიერებისათვის ფიქრში ილევა: ზუსტად ისე, როგორც პოეტი ამბობს: „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი, გზააბნეულისათვის მასწავლებინე გზები, შეუწამლავი, შემაწამვლინე ზვრები... მათქმევინე: ქვეყნად სიცოცხლე ღირდა, მერე წამოვალ, წამოვალ, საცა გინდა...“

ვიდრე ამ რწმენით გვიცემს გული, ქვეყნად ბოროტებას მოკლე დღე უწერია, სიკეთე კი მარად იარსებებს.

**ბორის შენგელია**

სექტემბერი, 1980 წ.

# როცა დედა პლანტაციაშია

წალენჯიხელთა სტუმარი ვარ. გულღია, გულუხვი და გულმართალი მასპინძლები მიმზიდველად ჰყვებიან მთისა და ბარის ამბებს. შიგა და შიგ ჩართული იუმორი ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს სათქმელს, საინტერესოს ხდის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ცხოვრების ყველა წვრილმანს. იმ დღეებში წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალების გადაჭარბებით შესრულება უპატაკეს სამშობლოს. გამარჯვებით აღტაცებული გულისძგერა ჯერაც არ მინელებულიყო და მათი აზრი, ფიქრი და სიტყვა ისევ ამ დიდი მონაპოვრის ირგვლივ ტრიალებდა.

ამიტომაც ვერ დაიღია სათქმელი: რაიონის მეჩაიეებმა წლეულს 31100 ტონა „მწვანე ოქრო“ მიჰყიდეს სამშობლოს. ამ წარმატების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს ეკუთვნით. წლეულს მეურნეობის მეჩაიეებმა 4500 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 5345 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან მობილური მანქანებით 2866 ტონა მოიკრიფა, მცირე მექანიზაციით — 1520, ხელით — 952 ტონა. მექანიზაციამ თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა: ჩაის მთლიანი ნედლეულის 82,7 პროცენტი მისი დახმარებით მოიკრიფა, რამაც თავისთავად შეამსუბუქა ქალის შრომა.

ციფრებმა მშრალად, უბრალოდ იციან ლაპარაკი, მის მიღმა კი საუკეთესო შედეგებისათვის დიდი ლაშქრობაა გაჩაღებული, რომელშიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ყველა სფეროს წარმომადგენელია ჩაბმული.

დიახ, ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა მხოლოდ მეჩაიეთა მხრებს როდი ამძიმებდა, ეს ტვირთი ერთნაირად ნაწილდებოდა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო, კულტურის, განათლების მუშაკთა შორის. ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან დამთავრებამდე ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები იყო მათი უპირველესი საზრუნავი. მეჩაიეებთან ერთად იწყებოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტანსაცმლის მკერავების ინეზა ჭანტურიას, ვარდიშა კვირკვიას, გიული ფიფიას, ფიფი ჭანიას, ლუბა ნაჭყებიას, გენო კვარაცხელიას, ფეხსაცმლის შემკეთებლებისა და მკერავების, ფოტოგრაფ იაშა ჭანიას სამუშაო დღე. პლანტაციებისაკენ დილაადრიანად მიჰქროდნენ სურსათ-სანოვაგით და ყოველდღიური მოთხოვნილების სხვადასხვა ჯგუფის საქონლით დატვირთული ავტომაღაზიები. რაიონის მუშათა სასადილოებს 12 საველე სასადილო შემოემატა, საიდანაც ცხელი კერძებით უმასპინძლდებოდნენ პლანტაციებში მომუშავეებს. კულტურის დარგის მუშაკები შესვენების საათებში კონცერტებს მართავდნენ, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის აღმზრდელები დედურ სითბოს არ აკლებდნენ პატარა აღსაზრდელებს, რომელთა დედები პლანტაციებში ტონობით ჩაის დოვლათს ახვავებდნენ.

რაიონის კოლმეურნეობებში, გარდა მუდმივმოქმედი საბავშვო დაწესებულებებისა, ცხრა სეზონური ბაგა-ბაღი მუშაობდა, რამაც 200-მდე ჩვილბავშვიან დედას საშუალება მისცა ჩაის პლანტაციებს მათი ხელების მადლი არ მოჰკლებოდა.

ყველა ცდილობდა მეჩაიე ქალთა შრომის შემსუბუქებას, ვისაც როგორც და რითაც შეეძლო ეს სიმძიმე გაენაწილებინა. ჩაის ბუჩქებზე გავარჯიშებული ქალის ნაზი ხელები ახვავებდა ტონობით ფოთოლს. მეჩაიე ქალმა მცირე მექანიზაციას სწრაფად აუღო ალღო და ერთიათასად გაამრავლა წარმატებები. ქალი დაეუფლა ჩაის საკრეფი მანქანის საჭეს, ყველგან ტრიალებდა მისი ალღოიანი, გონივრული შრომის მადლი, მის გულმხურვალებას კი დაფასება სჭირდებოდა და ეს არცერთ მათგანს არ დაჰკლებია.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გავეცანით მეჩაიე ქალთა ცხოვრების პირობებს. მეურნეობის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქალთა შრომა სახალისო გამხდარიყო. მარტო პროფკავშირის ფონდიდან რვა ქალს მიეცა ფულადი დახმარება, სამი მეჩაიე გაიგზავნა დასასვენებლად რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტზე. მეურნეობის ადმინისტრაციამ ქალთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად დახმარების სახით 1979 წელს 2890 მანეთი გასცა, ხოლო წლეულს — 3204 მანეთი. მეურნეობამ 4.902 მანეთი უშურველად გაუნაწილა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ქალებს. სახელდახელოდ მოწყობილ ფარდულებში 150 დასასვენებელი საწოლი მოეწყო. მეურნეობის ტერიტორიაზე მუდმივად მუშაობს აბანო და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულება, პლანტაციებში მომუშავეთ დიდ სამსახურს უწევს 25-საწოლიანი საუბნო საავადმყოფო, რომელსაც აქვს თანამედროვე ტიპის დანადგარებით აღჭურვილი რენტგენოლოგიური კაბინეტი, კლინიკა-დიაგნოსტიკის ლაბორატორია, ჰყავს ექიმი სპეციალისტები: თერაპევტი, სტომატოლოგი, პედიატრი.

მოვინახულეთ პატარები, რომელთაც მეურნეობის ბაგასა და ბაღში თბილი გული უპოვიათ. პლანტაციაში მყოფ დედას გულთბილი, მზრუნველი აღმზრდელებისათვის მიუნდვია თავისი პატარა. ჰკითხეთ მანანა ცუცქირიძეს — პატარა პაატას დედას, რაისა ისტომინას, ვალენტინა პაგუნოვას, ციალა ხულორდავას, თეკლე გოგუას — 10 თვის ეკა საბავშვო ბაგის აღმზრდელების ანაბარად რომ დაუტოვებია. ყველა მათგანი ერთნაირი გულთბილობით გამოხატავს მადლიერებას, ხელმძღვანელობა დიდ მზრუნველობას იჩენს პატარებისადმი. გასული წლის 1 ოქტომბრამდე მეურნეობამ მათ ანგარიშზე 2290 მანეთი ჩარიცხა, ხოლო სკოლის ასაკის ბავშვებისათვის 716 საჩუქარი შეიძინა.

საბჭოთა მეურნეობების, რაიონის კოლმეურნეობების, ყველა საწარმოს ერთიანმა გულშემატკივრობამ უზრუნველყო მეჩაიეთა გამარჯვება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი რაიონის სახელოვანი ქალების მიერ არის შექმნილი.

შუქურა კოტრიკაძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები



რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ეთერ გუგუშვილი



ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ლია შწირული



რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მოწინავე გადამხვევი ლუიზა მთვარელაძე



კასპის რაიონის სოფ. ოკამის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ნათელა მეთხუზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მსოფლიო კინოვარსკვლავები*

# ფრანჩესკა გაალი



ცნობილი უნგრელი კინომსახიობი ფრანჩესკა ზილვერსტიჩი, რომელიც კინემატოგრაფიაში გაალის გვარით არის ცნობილი, დაიბადა 1904 წელს, ბუდაპეშტში. სამსახიობო განათლება მიიღო ბუდაპეშტის თეატრალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა დაიწყო თეატრ „ვინგსინხაზის" სცენაზე. აღსანიშნავია ფრანჩესკა გაალის მიერ აქ განსახიერებული ელიზა დულიტლის სახე ბ. შოუს ცნობილ „პიგმალიონში" და ანია — ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღში".

1919 წელს რეჟისორი პოლ აცელი, „აპოსტოლის" შემდეგ, იღებს კომედიას — „მეპატრონე მათესა და ჯუჯებს", რომელშიც შედგა ფრანჩესკას კინოდებიუტი. ამ ფილმში იგი ლილიპუტების თეატრში განსახიერებულ ჯუჯას როლს ასრულებდა.

1921 წელს ეკრანებზე გამოდის სამი ფილმი, რომლებშიც ფრანჩესკა გაალი მონაწილეობს. ესენია: „ნიუ-იორკის ექსპრესი", „მალაზიის მარგალიტი", „კორნევილის ზარები". 1922 წელს კი — „თაგვი"... მისდა სამწუხაროდ, ამ ფილმებში განსახიერებულმა როლებმა ვერ მოუტანა შემოქმედებითი სიხარული ნიჭიერ მსახიობს. და იწყება მისი შემოქმედებითი ძიებით აღსავსე, რთული და დაძაბული გზები უნგრეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მსახიობის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფილმებს: „პეტერს" (1934 წ.) და „პატარა დედას" (1935 წ.), რომლებშიც მთელი სიძლიერით გამოვლინდა მისი ხალასი იუმორი, ტემპერამენტი, ნიჭი და მომხიბვლელობა.

ავსტრიაში მოღვაწეობის პერიოდიდან აღსანიშნავია ფრანჩესკა გაალის მიერ განსახიერებული ღარიბი, კეთილი და გამიჯნურებული, სასაცილო კატერინა რეჟისორ გ. კოსტერის კომედია „კატერინაში" (1935 წ.).

1937 წელს, ადმირალმა ჰორცმა ჰიტლერის პოზიცია დაიკავა თუ არა, ავსტრიაში პოლიტიკური მდგომარეობა დაიძაბა. ფრანჩესკა, როგორც ემიგრანტი მსახიობი, ვერ შეეწყო ფაშისტურ დიქტატურას და ამერიკას შეაფარა თავი. აქ მან უკანასკნელად ითამაშა რამდენიმე ფილმში. ეს ფილმებია: „კონდუქტორ-გამცილებელი" (1938 წ.) „საქორწინო მოგზაურობა პარიზში" და „უკანასკნელი კატარინა". მას, ძირითადად, მუსიკალურ კომედიებში იწვევდნენ სათამაშოდ და პარტნიორობას უწევდა ცნობილ ოსტატებს: ბინგ კროსბის, ფრენჩოტ ტოუნს და ფრედერიკ მარჩს.

კომერციულ ფილმებში თამაშმა ერთგვარად იმოქმედა ახალგაზრდა მსახიობზე და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ერთხანს იგი თეატრ „ვინგსინხაზში" (სადაც დაიწყო თავისი შემოქმედებითი კარიერა) მოღვაწეობდა, შემდეგ, საერთოდ ჩამოშორდა თეატრს და, 1946 წელს კვლავ ამერიკაში გაემგზავრა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანჩესკამ მშობლიურ უნგრეთში კიდევ ერთ ფილმში ითამაშა. ეს გახლდათ რეჟისორ აკოშ რატონის კერძო ფილმი: „რენე XIV, თუ მეფე იფიცებს".

ფრანჩესკა გაალი მსოფლიო კინემატოგრაფიის 30-40-იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული და ხალხის საყვარელი მსახიობი იყო. ეს პოპულარობა მას მოუტანა ხალასმა ნიჭმა, მჩქეფარე იუმორმა, გარდასახვის დიდმა ოსტატობამ, მუსიკალურობამ და, რაც მთავარია, იმ გრძნობების სიჯანსაღემ, სიმართლემ და რეალურობამ, რითაც მისი გმირები ცხოვრობდნენ ეკრანზე. ამ კუთხით შეგვიძლია გამოვყოთ ფრანჩესკას მიერ განსახიერებული ქალიშვილი („პეტერი"), რომელიც ლუკმა-პურისათვის სამუშაოს დაეძებს, ან, თუნდაც მისი ახალგაზრდა ქალიშვილი („პატარა დედა"), რომელიც ყველას მიტოვებული ბავშვის დედად მიაჩნიათ. ამ როლების განსახიერებით მსახიობმა ის თავისებური ხელწერა გვიჩვენა, რომელმაც უკვდავყო მისი სახელი მსოფლიო კინოხელოვნებაში.

ფრანჩესკა გაალი ორმოცდათორმეტი წლისა გარდაიცვალა 1956 წელს.

გონდო გაგნიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქალ-ქალი

## ვითომ ნაძვის ბრალია?

..ანადის ექიმთა საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალში საახალწლო ტრადიციულ ნაძვისხეს სეზონური ალერგიული რეაქციის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ასახელებენ. სტატიის ავტორებმა 1500 პაციენტი გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ამ პაციენტთა შვიდი პროცენტი სწორედ საახალწლო დღესასწაულის დღეებში უჩიოდა ნაირნაირ უძლურებას.

## გაუზიარებელი სიმპათიები

სწავლულებმა ჯერ კიდევ ვერ ახსნეს მიზეზი იმისა, თუ რატომ ეშინიათ ქალებს ასე პანიკურად თაგუნებისა. და ეს მაშინ, როდესაც მელბურნის ზოოლოგიური ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეს მარგარეტ ხოლმსის დაკვირვებით, თაგუნები, პირიქით, თანდაყოლილი სიმპათიით არიან გამსჭვალულნი ლამაზი სქესის წარმომადგენელთა მიმართ. „მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დავრწმუნდი, რომ თაგვები ქალთა მზრუნველობისა და ზედამხედველობის პირობებში უკეთესად გრძნობენ თავს. ხდება ხოლმე, რომ თაგვები დარდობენ და საჭმელს პირს არ აკარებენ, თუ მათი მეთვალყურეობა მამაკაც ლაბორანტებს აბარიათ“ — დარწმუნებით ამბობს მარგარეტ ხოლმსი. თუმცა დირექტორი ქალის მტკიცება წმინდა ემპირიულია, მაინც მთლიანად ვერ უარვყოფთ: მის ლაბორატორიაში ხომ მეცნიერული ექსპერიმენტებისათვის ყოველწლიურად 100 ათასი თაგვი იზრდება, ასე რომ, ცდათა რიცხვიც არცთუ ისე მცირეა.

## გასაქირავებელი „ცოლი“

მომსახურების ახალი სახეობა შემოიღო ამერიკელმა კარენ დონოვანმა. მან კალიფორნიაში „ცოლების გასაქირავებელი პუნქტი“ გახსნა. „ცოლი“ შეიძლება ნებისმიერი ვადით დაიქირაონ. ის კლიენტის თანამგზავრი იქნება შვებულების დროს, წაჰყვება თეატრში, დაულაგებს ბინას, საყიდლებზე წავა, კერძს მოუმზადებს. „ნატურალური“ ცოლებისაგან ქალბატონ დონოვანის ქალები მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ გასამრჯელოს იღებენ. ჰოდა, ამისათვის, ცხადია, ვალდებული არიან „ყურადღებით და გაგებით“ მოუსმინონ „ქმრის“ ჩივილსა და საყვედურებს.

## განა საკონკურსოდ...

იაპონიის კლინიკებში „პლასტიკური ბუმია“. სულ უფრო მეტი და მეტი ქალიშვილი, მეტწილად კი სტუდენტები იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციას — ილამაზებენ ცხვირის ფორმას, ისწორებენ თვალების ჭრილს და ასე შემდეგ. მაგრამ ამას იმიტომ კი არ სჩადიან, თითქოს „სილამაზის კონკურსზე“ უნდა გაიმარჯვონ, არამედ... სამუშაოს საშოვნელად. მრავალ კომპანიებსა და დაწესებულებებში ქალიშვილის სამუშაოზე მიღებისას ყურადღებას იმდენად პროფესიულ მომზადებას არ აქცევენ, რამდენადაც გარეგნობას, რადგან მათი აზრით ქალიშვილები ჯერ „ოფისს უნდა ამშვენებდნენ“.



## მონითმოვაჭრენი... ქველმოქმედთა ნიღბით

ფილიპინების პოლიციამ ბავშვებით მოვაჭრე იატაკქვეშა სინდიკატი აღმოაჩინა, რომელსაც კონტროლს ჩინელები უწევდნენ. ამ დამნაშავეთა ბანდის აგენტები მცირეწლოვანი მონებით ამარაგებდნენ კერძო მეწარმეებს, ისინი კი ერთი ჭიქა ბრინჯის საფასურად 16 საათს ამუშავებდნენ ბავშვებს თავიანთ კუსტარულ საწარმოებში.

მაგრამ დამნაშავეებმა მაინც მოახერხეს ციხისთვის თავი დაეღწიათ, — იუწყება ინდოეთის ყოველკვირეული გაზეთი „ლინკი“, — რადგან სასამართლომ გაიზიარა ადვოკატის ვერსია — ამ ბიზნესს მონითმოვაჭრენი „ჰუმანური“ იდეების კარნახით ეწეოდნენ, ბავშვებს „კარგი ხალხის ხელში“ აწყობდნენო. ასე რომ, არამზადებს მხოლოდ ორ-ორი ათასი დოლარი ჯარიმა გადაახდევინეს „ბავშვთა თავშესაფრების არასწორი ორგანიზაციისათვის“.

## „გაათანასწორეს“

რამდენიმე წელი მოითხოვდნენ ქალაქ ბარგტეხაიდის (გფრ) თაფლის გადასაწონი ქარხნის მუშები მამაკაცისა და ქალის შრომის ანაზღაურებაში სხვაობის მოსპობას, მაგრამ ამაოდ. დისკრიმინაციით აღშფოთებულმა ქალებმა ბოლოს სასამართლოს მიმართეს, მაგრამ, ვიდრე სასამართლო რაიმეს გადაწყვეტდა, ქარხნის მეპატრონეებმა სასწრაფოდ თავად გაათანაბრეს ეს ხელფასები — ფული მამაკაცებს ჩამოაკლეს.

## რეკორდები, რეკორდები...

ინგლისელმა მაიკ დიკრონმა რეკორდი დაამყარა — 25 შხამიან გველთან ორი თვე დაჰყო მინის გალიაში. მაგრამ მის რეკორდს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა — 19 წლის ქალი ლეიმ ვან დენ ბერგი 64 დღე ჩაჯდა შუშის გალიაში 35 შხამიან გველთან. ამ რისკზე ახალგაზრდა ქალი იმიტომ წავიდა, რომ ფემინისტია, ქალთა თანასწორუფლებიანობის იდეის დიდი ქომაგი. „მინდა ვუჩვენო მამაკაცებს, როგორ კეთდება ეს!! — განაცხადა მან.



## ელვათერაპია?

ამერიკის შტატის-მენის მცხოვრები ედვინ რობინსონი ველარ ხედავდა და არც არაფერი ესმოდა მას შემდეგ, რაც საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა. ახლა მას სმენაც დაუბრუნდა და მხედველობაც: რამდენიმე ხნის წინათ საკუთარ სახლთან რომ სეირნობდა, ედვინს მეხი დაეცა. ადგილობრივმა ექიმებმა ოფიციალურად დაადასტურეს მისი განკურნება. მაგრამ ამ შემთხვევამ ყველაზე მეტად მელოტი ამერიკელები აალელვა, რადგან „ელექტროშოკის“ შემდეგ რობინსონს გამელოტებულ თავზე თმის გაზრდა დაეწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეგეტარიანული კერძები

## უხორცო ტოლმა

1 ჩაის ჭიქა გადარჩეული, გარეცხილი ბრინჯი ჩაყარეთ ადუღებულ მარილწყალში და მოხარშეთ ისე, რომ მარცვალი ნახევრად მოხარშული იყოს. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში. როცა სითხისაგან დაიწრიტება, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 1 თავი ხახვი, დაქუცმაცებული 100 გრამი კარაქი, მარილთან ერთად დანაყილი 1-2 კბილი ნიორი, წვრილად დაჭრილი 1/2 ჩაის ჭიქა ქინძი, წვრილად დაჭრილი 1 ჩაის ჭიქა ქონდარი, რეჰანი, ტარხუნა, ოხრახუში, გემოვნების მიხედვით. პილპილი, მარილი, 1 გათქვეფილი კვერცხი და კარგად აურიეთ.

კომბოსტოს თავი სათითაო ფოთლებად დაარჩიეთ, დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ შიგ, სანამ ფოთოლი არ შერბილდება, მერე კი გადაიტანეთ თუშფალანგში და შეაგრილეთ. შემდეგ დაალაგეთ სუფთა ფიცარზე, თითოეულ კომბოსტოს ფოთოლზე მოათავსეთ წინასწარ გამზადებული კაკლისოდენა შეზავებული ბრინჯი და შეახვიეთ; ჩააწყვეთ ქვაბში, ფენებშუა და ზემო ფენას დაატანეთ ალყა-ალყად დაჭრილი 2 თავი ხახვი, დაასხით ზედ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 700 გრამი პამიდორი ან ტომატი, დაუმატეთ 100 გრამი კარაქი და დადგით მოსახარშად. როცა მზად იქნება, ამოალაგეთ ლანგარზე და ზედ თავისი წვენი მოასხით. შეგიძლიათ ზემოდან მოასხათ გაწურული ათქვეფილი მაწონი ან არაჟანი.



## დაფარშული ჭარხალი

გასუფთავებული, გარეცხილი საშუალო სიდიდის, ერთნაირი ზომის 800 გრამი მოგრძო ჭარხალი მოხარშეთ ან შეწვით. შემდეგ თითოეულ ძირხვენას გული წვრილი დანით ამოაცალეთ ისე, რომ მისი მთლიანობა არ დაირღვეს.

500 გრამი სტაფილო დაჭერით ძალიან წვრილად და ჩათუთქეთ 2-3 სუფრის კოვზ მზესუმზირის ზეთში. ამ პროცესის დროს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 2-3 თავი ხახვი და ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ჭარხლის შუაგულიდან გამოღებული მასალა, შეურიეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, კამა) და მარილი. მიღებული მასალით გამოტენეთ გულამოცლილი ჭარხალი, დააწყვეთ შესაფერ ჭურჭელზე, მოასხით გაწურული 1-1/2 ჩაის ჭიქა ათქვეფილი მაწონი და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.



## ვერმიშელი ხაჭოთი

1 ჩაის ჭიქა ხაჭო დაზილეთ, შეურიეთ შაქრის ფხვნილი და ქიშმიში (შეიძლება უქიშმიშოდაც მომზადდეს).

ჩვეულებრივი წესით მოხარშეთ 250 გრამი ვერმიშელი (შეიძლება მაკარონიც იხმაროთ) და გადაიტანეთ თუშფალანგზე. როცა სითხისაგან დაიწრიტება, მოათავსეთ შესაფერის ჭურჭელში, დაუმატეთ დაქუცმაცებული ან აზელილი 50 გრამი კარაქი, უმი ათქვეფილი 1-2 კვერცხი, მარილი, შაქრის ფხვნილი, აურიეთ და გაყავით ორად.

მაღალ ტაფას ან დაბალ ქვაბს წაუსვით გამდნარი კარაქი ან სხვა ცხიმი, მოაყარეთ დანაყილი გაცრილი ორცხობილა, ზედ მოათავსეთ გამზადებული ვერმიშელის ნახევარი, მოასხით 1-2 სუფრის კოვზი გამდნარი ცხიმი, დაადეთ ზედ თანაბარ ფენად გამზადებული ხაჭო, ზემოდან დააფარეთ ვერმიშელის მეორე ნახევარი, შეუსწორეთ ზედაპირი, მოაყარეთ დანაყილი, გაცრილი ორცხობილა, დაახურეთ სახურავი, დადგით ნელ ცეცხლზე და გააჩერეთ შემზადებამდე. მზა ვერმიშელი ტაფიდან მთლიანი სახით გადმოიღეთ (ლამაზი შესახედავია), მოათავსეთ ლანგარზე და სასურველი სიდიდის ნაჭრებად დაჭერით.

## ბრინჯის გუფთა

გადარჩეულ-გარეცხილი 1 ჩაის ჭიქა ბრინჯი ჩაყარეთ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში და ხარშეთ 5-8 წუთი. მერე გადაიტანეთ თუშფალანგზე. როცა წყლისაგან დაიწრიტება, გადაიტანეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ცხელრძიან ქვაბში და მორევით შესქელებამდე ძალიან ნელ ცეცხლზე ხარშეთ. დაუმატეთ შაქრის ფხვნილი (პუდრა), ქიშმიში, 1 უმი კვერცხი, 1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი და კარგად აურიეთ. მიღებული მასალიდან გააკეთეთ პატარა გუფთები და ამოავლეთ დანაყილ-გაცრილ ორცხობილაში. ტაფაზე დაასხით ცხიმი, აადუღეთ, მოათავსეთ ზედ გამზადებული გუფთა და შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ რომელიმე ტკბილი საწებლით, სიროფით და სხვ.

თამარ სულაქველიძე

## კვერცხის კერძები

### ერბოკვერცხი ფრანგულად

10 კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ, აურიეთ ათქვეფილ ცილას. დიდ ტაფაზე გაადნეთ ნახევარი სუფრის კოვზი კარაქი, დაასხით მომზადებული მასალა.

როცა ერბოკვერცხი კარგად შეიწვება, გადმოაბრუნეთ, ოღონდ მეორე მხარეს ბოლომდე ნუ შეწვავთ. სინზე გადმოიღეთ, გაჭერით ორ ნახევარწრედ, ერთს წაუსვით ჭიქა მურაბა (სასურველია შავი მოცხარი ან მაყვალი), მეორე ნაჭერი კი ზემოდან დააფარეთ.

### ერბოკვერცხი ყველით

ათქვიფეთ 4 კვერცხი, დაუმატეთ სუფრის კოვზი ფქვილი, 120 გ. გახეხილი მაგარი ყველი, ცოტაოდენი გაზიანი ან მინერალური წყალი და კვლავ კარგად აურიეთ. შეწვით ზეთში, სუფრაზე მიიტანეთ პამიდვრის საწებელთან ერთად.

### კვერცხიანი სასმელი

კვერცხის გული ათქვიფეთ შაქრის სიროფში, თანდათანობით განაზავეთ ცხელი წყლით და გააციეთ. ცივ სასმელს დაუმატეთ ფორთოხლის ან მანდარინის წვენი.

200 გრ. წყალი, 2 კვერცხის გული, 3 სუფრის კოვზი შაქრის სიროფი, 1 სუფრის კოვზი წვენი.

თ. კახელიშვილი

## ქალთა ჟურნალი მამაკაცებისთვისაც ზრუნავს

### „ჰალსტუხი — ეს ადამიანია“

თანამედროვე, ელეგანტური მამაკაცი ყურადღებით ადევნებს თვალს მოდას, მოდის გარეშე მოსაწყენი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, მის შემოქმედებით, რაციონალურ მიყოლას კი მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

მამაკაცის ჩაცმულობაში მოდა ეხება არამარტო კოსტიუმს, არამედ მის აქსესუარებსაც, რომელთა შორისაც თვალსაჩინო დეტალია ჰალსტუხი.

ქსოვილის ეს სამსაუკუნოვანი სამკაული კოსტიუმზე (მხოლოდ კოსტიუმზე!) ასრულებს როგორც დეკორაციულ, ისე ფუნქციურ როლს და შეუძლია ჰარმონიულად დააკავშიროს ტანსაცმლის ყველა ელემენტი.

ჰალსტუხის შერჩევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ წლის დრო, კოსტიუმის ფასონი და ფერი, პერანგის ფერი, ასაკი, თმის ფერი...

კოსტიუმის, პერანგის, ჰალსტუხის გემოვნებით შერჩევა მოგვცემს ფერთა საერთო გამას:

შავი კოსტიუმი, ღია პერანგი, მშვიდი ფერის, წვრილნახატებიანი ჰალსტუხი.

ნაცრისფერი კოსტიუმი, ჩალისფერ-მოყვითალო პერანგი, ლურჯი ჰალსტუხი;

ყავისფერი კოსტიუმი, ცისფერი პერანგი, მუქი წითელი ჰალსტუხი.

ლურჯი კოსტიუმი, ნაცრისფერი პერანგი, მუქი ლურჯი ჰალსტუხი.

ღია ნაცრისფერი კოსტიუმი, კოსტიუმის ტონის ჰალსტუხი.

ღია ფერის კოსტიუმი, ღია ფერის პერანგი, კოსტიუმთან კონტრასტული ფერის ჰალსტუხი.

აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ მრავალნაირ რეკომენდაციებს შეხვდებით, ზოგჯერ ისინი ერთმანეთს უპირისპირდება და გამორიცხავს კიდეც. მაგრამ უკმაყოფილებისა და გაწბილებისათვის დროს ნუ დაკარგავთ, მოძებნეთ თქვენი „ჩარჩო“ და მის ფარგლებში იმოძრავეთ.

ჰალსტუხი პირველ რიგში სამკაულია და, ამდენად, იგი უნდა იყოს ლამაზი და კარგად გამონასკვული, რომ მან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვოს. გამონასკვისას თუ ისარგებლებთ ორმაგი მოჭიმვის მეთოდით, მაშინ ნასკვი მტკიცე გამოვა, მის სიმსხოს კი ძირითადად განსაზღვრავს ჰალსტუხის ვიწრო და ფართო ნაწილების რეგულირება. გაგაცნობთ ჰალსტუხის გამონასკვის ორ წესს:

### I წესი

ჰალსტუხი შემოიხვიეთ კისერზე ისე, რომ მარცხნივ იყოს წვრილი, უფრო მოკლე ბოლო და გამონასკვეთ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე. ასეთივე ნასკვი გააკეთეთ მეორე მხარეს (ნახ. 2)

გრძელი, ფართო ბოლო გაუყარეთ მარყუჟში, როგორც ეს ნაჩვენებია მე-3 და მე-4 ნახაზებზე. ჰალსტუხი გამონასკვულია. ნასკვი მოჭიმეთ და გაასწორეთ.

### II წესი

ჰალსტუხის მოკლე, ვიწრო ბოლოს შემოახვიეთ გრძელი, ფართო ბოლო, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე. შემდეგ შემოახვიეთ მეორედ (ნახ 1) და წარმოქმნილ მარყუჟში (ნახ. 3) გაუყარეთ ფართო ბოლო (ნახ. 4)

ჰალსტუხი თუ დაგილაქავდათ მისი გაწმენდა ყველაზე იოლია ავიაბენზინით: თავისუფლად დახვეული ჩადეთ ჯამში და იმდენი ბენზინი დაასხით, რომ დაიფაროს და ერთიორი საათით დააცალეთ.

რბილი ჯაგრისით ფრთხილად გახეხეთ მეტად ჭუჭყიანი ადგილები ქსოვილის მიმართულებით.

ლაქების მოცილება სპეციალური ლაქების ამომყვანი საშუალებითაც შეიძლება.

სველი ჰალსტუხი ქსოვილში გაახვიეთ, ოდნავ გაწურეთ და თოკზე ჩამოკიდეთ. როცა გაშრება შიგ ჩაუტანიეთ მუყაოს ან ფანერის შაბლონი, გადააფარეთ დანამული ქსოვილი და მსუბუქად დააუთოეთ. გარეცხვა დასაშვებია, აგრეთვე თბილ წყალში, „ნოვოსტით“.

თუმცა, ზოგიერთი ნაწარმი გასარეცხად არ არის რეკომენდებული, რადგან მოსალოდნელია ქსოვილის დეფორმაცია და ფერისცვალება. ასეთ დროს სჯობს ქიმწმენდის მომსახურებით ისარგებლოთ.

თ. კახელიშვილი



გარეკანის პირველ გვერდზე — ფოტოეტიუდი „საახალწლო“; მეოთხეზე — ლადო გუდიაშვილი — ნათელა ახვლედიანის პორტრეტი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 3/XII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-81 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.2 ტირაჟი 134.100. შეკვ. 3130. უე 00612

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის გამო ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო მხატვრულ ნარკვევზე.

ნარკვევის გმირი უნდა იყოს ქალი, რომლის სახელითაც ამაყობს სოფელი, ქალაქი თუ რაიონი, ქალი, რომელსაც განსაკუთრებული, საინტერესო ბიოგრაფია აქვს — საბრძოლო დამსახურება იქნება ეს, საზოგადო მოღვაწეობა თუ შრომითი საქმიანობა, მრავალშვილიანი დედობა თუ კარგი შვილების აღმზრდელობა.

ნარკვევის წარმოდგენის ვადაა არაუგვიანეს 1981 წლის 30 მარტისა და იგი არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ რვა გვერდს.

საუკეთესო ნარკვევისათვის დაწესებულია:

ერთი I პრემია — 200 მან. ოდენობით.

ორი II პრემია — თითოეული 150 მან. ოდენობით.

ორი III პრემია — თითოეული 100 მან. ოდენობით.

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს დევიზით, ავტორის ვინაობა — ცალკე, დახურული კონვერტით.

ახალი — 1981 წლიდან, ჩვენი ჟურნალის ყოველ ნომერში, ყდის მეოთხე გვერდზე დაიბეჭდება მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები — „ქალი სახვით ხელოვნებაში".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76178

ფასი 80 კაპ.